ლიტერატურული საქართველო

15 ივნისი, 1938 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო

ფასი 30 კაპ. № 15 (70)

მშრომელთა ყველა ქვეყნის შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ფალიაშვილის სახ. სამ. საბჭოთა რეპუბლიკური ბიბლიოთეკა

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგულ შვილებს — საქართველოს კ. პ. (ბ) XI ყრილობის დელეგატებს გოლშევიკური სალამი საბჭოთა მწერლებისაგან

ბელადი ყრილობაზე

დავით გაჩეჩილაძე

მის მაღალ ფიქრთან, ვით ალიონთან,
ლურჯად გაშლილა მხარე ვეება,
და მის სუნთქვიდან, ღილის სიოდან,
მოჰქრის სამშობლოს ბედნიერება.

მისი ნათელი ღიმილი ისმის,
საკრავთ ჟღერაში გამოსახული;
ხალხთ სიხარული გრძნობაა მისი,
მისი სიბრძნეა ეს გაზაფხული.

საით სადამდე უსერავთ ზეცა
მისგან გამოზრდილ ორბებს ფრთიანებს.
ახალ ვარაყით **რომ** მოიფერცხლა,
აჰყავდა წიგნი და ბატიანი.

მის მითითებით ხალხები ერთხმად
მყინვარებს, მიწას, ცას დაეპიდონ.
ჩვენი სამშობლო **მის გულში** ფეთქავს,
ვინც ჩვენი ქვეყნის გულია თვითონ.

გვეტყვის და ხრიოკს წალკოტად შევცვლით,
ეს ვარდ-ყვავილნი მისი ხმებია;
მის დაძახილზე მარადი ცეცხლით
წყალნი ჯებირებს დაჯახებიან.

მის მოწოდებით მახვილს ავლესავთ,
და თუ, დუშმანნო, თქვენ სადმე გაჩნდით,
გრგვინვით წამოვალთ თქვენს გასასრესად,
დაგეხშოთ სუნთქვა ჩვენს განთიადში.

ერთიც გვეყოფა ჩვენ **დაძახება,**
თავს დაგაცხრებით ჭუხილით **წამსვე.**

ის მაღალია და მის სახელთან,
ლალის ვარსკვლავი სჩანს, როგორც მთაზე.

მარად იბრწყინებს აზრები მისი,
ნაჩუქურთმევი წალკოტ-ბაღნარად.
და სივრცეებში გუგუნით ისმის
ხალხის სიმღერა, ხალხის ნაღარა.

ის ყველგან არის, და ყოველ მხარეს
მოაქვს სინათლე, სიბრძნე, მხნეობა.
იგი ხალხებმა მზეს შეადარეს
და მზემაც იგრძნო მეტი მზეობა.

და ჰა, სად გრგვინავს ყრილობა ცამდის,
გმირნი ქართველთა **მოსულან ლენინ.**
ფართო დარბაზში ელვარებს, **დადის**
მარადისობა, **სახელი ბრძენი.**

ის თვით აქ არის, **დიდებულ** მზერით,
კავკასს დაჰყურებს **დიდი ხანია.**
ვთქვათ: ვით ვიბრძოლეთ, **რა** შევიძულით
ან რა დოვლათი **მოგვიტანია.**

ვით გადავნერგეთ სიტყვები **მისი**
კოლხეთის ველზე, ნარინჯთ **ბწკარებად;**
როგორ გავსჭერით **წიაღნი** მიწის,
შადრევნების და ოქროს **კარებად.**

რომ მთიდან ზღვამდე, ყოველი კუთხე,
მწვანე და ლურჯი ბაღით სხვაფერობს,
რომ ჩვენი მიწის ვართ **მესაკუთრე,**
და გაზაფხულდა **დღეს** საქართველოც.

რომ **გვაქვს** ცხოვრება ჩვენ **მოსალხენი,**
მღერაში ვარდი და **ჩინჩქერია;**
რომ **მისი** ფიქრით, აზრით, სახელით,
წინ ეჭაკაცურად გვიძღვის ბერია.

საქართველოს ბოლშევიკების ყრილობა

დღეს იხსნება საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XI ყრილობა. ქართველი ხალხი ამ ყრილობას ხვდება უდიდესი ვამარჯვებებით სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩვენმა მშრომელმა ხალხმა **ლენინ-სტალინის** დიადი დროშის ქვეშ გაერთიანებულმა გააჩაღა ბრძოლა საქართველოს აყვავებულ სოციალისტურ რესპუბლიკად გადაქცევისათვის. რუსეთის ცარიზმის კოლონიალურ და მენშევიკების მიერ გაპარტახებულ ქვეყნიდან, საქართველო გადაიქცა მოწინავე ორდენოსან რესპუბლიკად, საბჭოთა კავშირის მარგალიტად. საქართველოს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში თითქმის ოცჯერ გაიზარდა. ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყნიდან საქართველო გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიალურ - აგრარულ ქვეყნად. მრეწველობის წინად არსებულ დარგების ძირფესვიან რეკონსტრუქციასთან და გაფართოებასთან ერთად შეიქმნა მრეწველობის მთელი რიგი სრულიად ახალი დარგები: მანქანათმშენებლობა, ფეროშენადნობის, ქიმიტის, ნავთის, სათეიქრო, საკონსერვო, შაქრის წარმოება და სხვ.

შესანიშნავია ქართველი ხალხის წარმატება სოფლის მეურნეობის დარგში. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში ფართო განვითარება ჰპოვეს ყოვლფასისმა სუბტროპიკულმა და ტეხნიკურმა კულტურებმა: ჩაიმ, ციტრუსებმა, ტუნგომ, თამბაქომ ევკალიპტებმა, კეთილშობილმა დაფნამ, ეთეროვანმა მცენარეებმა და სხვ.-ს ძვირფასი კულტურები გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საფუძველს წარმოადგენენ.

დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გენიით შთაგონებულმა ქართველმა ხალხმა დაიწყო ჯოლხიდის უზარმაზარი ჭაობიანი მასივის ამოშრობა. „საყოველთაოდ ცნობილია, — ამბობდა ქართველი ხალხის სახელოვანი ხელმძღვანელი ამხანაგი **ლავრენტი ბერია** საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-10 ყრილობაზე, — იმ სამუშაოთა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, რომლებიც ამჟამად ტარდება ჯოლხიდის დაბლობის ამოსაშრობად. ეს დაბლობი ზომავალში ორჯა ჯაბიეს უმნიშვნელოვანეს ბაზად ჩვენი ჩაის, ციტრუსებისა და სპეციალური და ტექნიკური კულტურების სხვა პლანტაციების შემდგომი გაფართოებისათვის“. და მართლაც, საუკუნეების გრძელ მანძილზე ჭაობად ქცეული ჯოლხიდა, რომელიც ეკონომიურად და ფიზიკურად ანადგურებდა მოსახლეობას, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გადაიქცა ციტრუსოვან კულტურების აყვავებულ ბაღად.

საბოლოოდ განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება. გლეხურ მეურნეობათა 77 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია სოციალისტურ მეურნეობაში — კოლმეურნეობებში, რომლებიც წარმოადგენენ შეძლებული და კულტურული ცხოვრების მკვიდრ ბაზას.

საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელ ზრდასთან დაკავშირებით, უდიდესი წარმატებაა მოპოვებული კულტურის დარგში. ქართულმა კულტურამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს მიიღო სწრაფი აღორძინებისა და შემდგომი განვითარების შესაძლებლობა. კომუნისტური პარტიის და პირადად ქართველი ხალხის საყვარელი ხელმძღვანელის ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მზრუნველობით აყვავდა ქართული ხელოვნება და ლიტერატურა. პარტიის გულისხმიერმა დამოკიდებულებამ მწერლებისადმი, ხელოვნების ყველა დარგის მუშაკებისადმი უზრუნველყო მათი განუხრელი იდეური და შემოქმედებითი ზრდა. კერძოდ ქართული საბჭოთა მწერლობა ამ წლების მანძილზე გაიზარდა იდეურად და განმტკიცდა მხატვრულად, მან საბჭოთა ხალხების ლიტერატურაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი დაიპყრო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-10 ყრილობაზე ამხანაგ **ლავრენტი ბერიას** მიერ მოცემული მითითებების საფუძველზე საქართველოს მწერალთა კავშირმა დიდი მუშაობა ჩაატარა ამ ერთი წლის მანძილზე. ნიღაბ-ახდილი და განადგურებული იქნენ სალის მტრები, რომელთაც სურდათ ლიტერატურული ფრონტის გამოყენება ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

ქართველი საბჭოთა მწერლები იდეურად და ორგანიზაციულად შემჭიდროებულნი და დარაზმულნი არიან **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გარშემო და პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვიან ჩვენი დიდი სტალინური ეპოქის შესაფერი მხატვრული ლიტერატურის შექმნისათვის.

ქართველი ხალხი, რომელიც მთელი თავისი მრავალსაუკუნიანი ისტორიის მანძილზე გმირულად იცავდა თავის თავისუფლებას, მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვილად თავისუფალი, სსრ კავშირის ხალხთა დიადი ოჯახის თანასწორუფლებიანი წევრი.

მაგრამ ყოველივე ეს ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ჩვენი დიადი სამშობლოს მტრებთან ულმობელ ბრძოლაში. ჩვენმა სახელოვანმა შინსახკომმა გამოამეღავნა და გაანადგურა ჯაშუშთა, დივერსანტთა და მავნებელთა — პირსისხლიანი ფაშიზმის აგენტთა ტროცკისტულ - ბუხარინული ბანდა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა წაერთმია ჩვენი ხალხისათვის სოციალიზმის დიადი მონაპოვარნი, ხელახლად დაედგათ მისთვის ბურჟუაზიულ - მემამულური ექსპლოატაციის უღელი.

12 ივნისს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს საქართველოს მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს და ამით ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავიანთი უსაზღვრო ერთგულება **ლენინ-სტალინის** დიადი საქმისადმი.

ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად, მტკიცედ არის დარაზმული დიდი **სტალინის** გარშემო, იგი უაღრესად გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით და მზად არის გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს ყველა მტერს, რომელიც გაბედავს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს წმინდათა - წმინდა საზღვრების ხელყოფას.

მხურვალე ბოლშევიკური სალამი საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) მე-11 ყრილობას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას!**

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს, ჩვენი სამეურნო, სასიხარულო და ბედნიერი ცხოვრების შემქმნელს **დიდ სტალინს!**



კოლხიდის კოლმეურნეს

ალ. აბაშელი

მომისმენია შენი სიმღერა,
ხან ნაღვლიანი, ხან—კი მედგრული,
მინახავს ბარში მე შენი კერა
და მთა-კორტოხზე ფაცხა მეგრული.

გაჭირვების დროს ვყოფილვარ შენთან,
შენსავით სხივებ-შემოძარცული.
ახლა ეს მხარე როგორ აშენდა!—
ბნელ სიზმარივით მოსჩანს წარსული.

შენგან რამდენჯერ გამიგონია —
„ბედს და ქვეყანას ობლად ვყავარო,
შენ და შენს ხარებს ერთად გქონიათ
ბინა უფიცრო და უყავარო.

ბატონის კარზე ხარკს რომ იწდიდი
სახლში უპუროდ გისხდნენ ბალღები.
შინ ბრუნდებოდი ღონემიხდილი,
შენთვის ამაო შრომით დაღლილი.

შეხლაც გქონია მჩაგვრელ ძალებთან
და გაგიბზარავს ყმობის კედელი,
როცა რკინის ჯოხს ატრიალებდა
აჯანყებული უტუ მეედელი.

მაგრამ ჩამდგარა წყრომის ქუხილი
და წაქცეულა შენი ურემი,
ისევ დაგდგმია მონის უღელი
და კვლავ დაბმულხარ ხანჯალურებით.

და ისევ გიხვავს სხვისთვის მთა-ველი
დაღარულ შუბლზე ოფლის მოდენით.
შენთვის გქონია მიწა მტკაველი,
შენი გაცრეცილ ნაბდის ოდენი.

ეს ერთი მუჭა ოფლი და მტვერი
მხოლოდ საფლავად თუ იკმარებდა.
ხშირად ამასაც გართმევდა მტერი,
მუდამ სიმშილი გადგა კარებთან.

ბალღი ნატრობდა ფაფას დოიანს,
შენ დაკვნესოდი ფეტვსა და შვრიას, —
დღეს შენს ურმულს და შენს „ოდოია“-ს
ქარი უერთებს ფორთოხლის შრიალს.

როგორც ზღაპრული მზეთუნახავი,
თვლემდა ჭაობქვეშ ძველი კოლხიდა.
შენ მას წარსულის ქერქი აჭხადე,
და შენც გამოხველ შენი ქოხიდან.

გადიხარ მინდვრად და თან წაიტან
ახლად ჩამოსულ სხივების სითბოს.
ამდენი ძალა მოდის საიდან,
რომ თვით ბუნებაც ბრძოლაში გითმობს?

ნისლს გადაიყრის ტყე აქოჩრილი,
კოლმეურნენი მოვლენ გუნდებად.
ახმაურდება რკინა მორჩილი,
შრომის სიმღერაც აგუგუნდება.

ხარობს ყამირი ნამარხულევი,
ათას წელიწადს შენ რომ გიცდიდა,
და შენც ამოგაქვს ოქრო ულევი
ამ ნაჭაობარ, მსუქან მიწიდან.

ტრიალებ ღონის დაუზოგველი,
თვით მანქანაზე ხარ უმალესი.
და ყოველდღიურ ჯილდოდ მოგელის
სავსე ოჯახის თბილი ალერსი.

როცა დაცხრება ცის შადრევანი,
შორი მთა ნისლით დაიბურება,
ჩამავალი მზის ოქროს მტევანი
ფირუზის ქვევრში ჩაიწურება,—

სხივშემოსილი და ცვარდაყრილი
დღე იხურება ბარაქიანი,
როგორც წამწამი, ტკბილად დახრილი,
ან წაკითხული წიგნი ყდიანი.

უახლოვდები ცისფერ კარიბჭეს,
შეხვალ ეზოში. უკვე ბინდია.
შენი ხელებით დარგულ ნარინჯებს
ესაუბრები, როგორც მინდია.

გესმის ფოთლების ჩუმი შრიალი.
ძალღი მორბის და ჰყეფს მოხარული.
მაღალი ოდა ლურჯფანჯრიანი
დგას მოფიცრული და მოყავრული.

შინ ომგადახდილ გმირივით მოხვალ,
შენს დაბრუნებას შეჰხარის ჩიტიც.
ხედავ, როგორი სიკეთე მოჰყვა
სინათლისა და წყვდიადის ჭიდილს!

შეხედავ ზეცას, ზედ გრჩება თვალი, —
სივრცე ვარსკვლავებს დაუჭერია.
იცოცხლე დიდხანს, ბელადო სტალინ!
იყავ დღეგრძელი, ჩვენო ბერია!

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

საქართველოს სს რესპუბლიკაში სულ არის საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების 2.932 საარჩევნო უბანი და 237 საარჩევნო ოლქი.

13 ივნისს **საღამოს 6** საათისათვის დამთავრდა ხმების **დათვლა** ყველა ოლქში.

საოლქო საარჩევნო კომისიების ცნობებით, რეგისტრირებულია **ყველა 237 დეპუტატის** არჩევა, რომლებიც კომუნისტებისა **და** უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატები არიან.

ამომრჩეველთა საერთო რაოდენობიდან—1.898.041 კაციდან, რომელთაც აქვთ ხმის უფლება საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებში, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1.883.608 ამომრჩეველმა, რაც ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა საერთო რაოდენობის 99,2 პროცენტს შეადგენს.

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების **ყველა** საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 1.876.391 კაცმა, რაც შეადგენს კენჭისყრაში მონაწილეთა მთელი რიცხვის 99,6 პროცენტს.

ქალაქ თბილისის შესახებ არსებული სრული ცნობების მიხედვით, 296.770 ამომრჩეველიდან კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 296.510 კაცმა, ანუ ყველა ამომრჩევლის 99,9 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების სტალინური ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა 294.881 კაცმა, ანუ კენჭისყრაში მონაწილეთა 99,5 პროცენტმა.

ქ. თბილისიდან საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში **არჩეული** არიან:

ლენინის რაიონი

1. ლენინის ოლქი — **ი. ბ. სტალინი**
2. ვოროშილოვის „ — **ი. ა. დევსურაშვილი**
3. რკინიგზის „ — **ნ. ვ. გელაძე**
4. „პრავდის“ „ — **ლ. პ. ბერია**
5. შრომის „ — **მ. ი. გურჭულაძე**
6. საბჭოთა „ — **მ. დ. ჩუბინიძე**
7. კოლხიდის „ — **ნ. ბ. ორჯონიკიძე**

სტალინის რაიონი

8. სტალინის ოლქი— **ვ. მ. მოლოტოვი**
9. ბერიას „ — **ს. ს. მიქაბერიძე**
10. ტელმანის „ — **ლ. ტ. ტკაჩენკო**
11. კალინინის „ — **ს. ს. ქსოვრელი**
12. კარლ მარქსის „ — **ა. თ. კვაჭაძე**
13. გორკის „ — **ო. ნ. მდინარაძე**

26 კომისრის სახელობის რაიონი

14. 26 კომისრის სახელობის ოლქი — **ს. რ. მილშტეინი**
15. ურიცკის „ — **ა. ა. აბარიანი**
16. ფიოლეტოვის „ — **ი. ა. ფიქლაური**
17. შაუმიანის „ — **ს. ბ. კარაპეტიანი**
18. წითელი არმიის „ — **ი. ვ. ტიულენევი**
19. ნავთლულის „ — **მ. ი. ჯაში**

კიროვის რაიონი

20. კიროვის ოლქი — **ა. ა. ვასაძე**
21. ძერჟინსკის „ — **ნ. ბ. ბაბუნია**
22. პუშკინის „ — **მ. ი. არაქელოვა**
23. ენგელსის „ — **მ. მ. გვიშიანი**
24. სამრეწველო „ — **ტ. მ. თევდორაძე**

ორჯონიკიძის რაიონი

25. ორჯონიკიძის ოლქი — **ლ. ბ. შენგელია**
26. საბურთალოს „ — **კ. ვ. მორეტი**
27. სტუდენტთა „ — **ი. ა. ჯავახიშვილი**
28. რუსთაველის „ — **შ. ი. აზმაიფარაშვილი**
29. ჩელუსკინელების „ — **ნ. ს. აგაშენაშვილი**
30. ეკოვის „ — **მ. ი. ბარამია**

საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისია.

თბილისი 1938 წ. 13 ივნისი.

„ბედნიერ სამშობლოს“

მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციამ“ გამოსცა საქართველოს უმაღლეს საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი მხატვრული კრებული „ბედნიერ სამშობლოს“.

კრებულში მოთავსებულია ლექსები: ალ. აბაშელის — „სამშობლოსადმი“ ირაკლი აბაშიძისა—„სიმღერა გმირებზე“, შ. აფხაიძის—„მას გამარჯვება“, კალე ბობოხიძის—„სიმღერა სიხარულზე“ და „ზაფხული ჩემ ქვეყანაში“, ვიქტორ გაბესკირიას — „დილით“, ვალერიან გაფრინდაშვილის — „გაზაფხული ემზადება არჩევნებისათვის“, დავით გაჩეჩილაძის — „ჩვენი დეპუტატები“, რაჟდენ გვეტაძის — „პირველი დეპუტატი“, გიორგი გიასელის — „ამომრჩეველთა სიმღერა“, ვასო გორგაძის — „თბილისი“, სანდრო ეულის — „ლენინის ოლქი“, სოლომონ თავაძის — „დედა-სამშობლო“ და „ორსანტია“, იასამანის „სიხარული“, გიორგი კაკახიძის —„მშობლიური ტფილისი“, იაკინთე ლისაშვილის — „სამშობლო სურათებში“, ნ. მალაზონიას — „სტალინი ჩვენი დეპუტატია“, ილო მოსაშვილის — „ჩემო სამშობლოვ“ და „ხალხთა ბელადს დიდ სტალინს“, შ. მრევლიშვილის — „სიმღერა 12 ივნისზე“, ვარლამ ჟურულის — „მშობლიურ სტალინს“ და „ლავრენტი ბერიას“, პეტრე სამსონიძის — „ლხინი“. ვლ. სულაბერიძის — „სალამური“, გიორგი ქუჩიშვილის „ორი სიმღერა მშობელ მხარეზე“, სიმონ ჩიქოვანის — „მშობლიურ ხალხს“, გ. ჯაბუშანურის — „თმაშეეერცხლილი დეპუტატი“.

პროზის განყოფილებაში მოთავსებულია: აკაკი ბელიაშვილის — „სიხარული“, მარიამ გარიყულის — „ცოლ-ქმარი“, სოლომონ თავაძის— „აყვავებული გურია“, ილო მოსაშვილის — „ბედნიერი საქართველო“, ელიზბარ პოლუმორდვინოვის—„ადათის დასასრული“, იოსებ ტატიშვილის—„ივნისის 12-ს“, ლეო ქიაჩელის — „ნინო აგაშენაშვილი“, როდიონ ქორქიას —„სახელოვანი ადამიანი“, ალექსანდრე ქუთათელის— „სტეფანე ქსოვრელი“, დემნა შენგელაიას — „პროფ. ივანე ჯავახიშვილი“, ლავრენტი ჭიჭინაძის—„ბაბუა ზაქარია“, სიმონ წვერავას — „ორი ზეიმი“, ვ. წულუკიძის—„პოეტი ხალხის კანდიდატი“.

კრებულის რედაქტორები: ამხ. კანდიდ ჩარკვიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, დემნა შენგელაია და ვასო გორგაძე.

წიგნის მხატვრობა ეკუთვნის ლადო ზაალიშვილს.

წიგნი ლამაზად არის გამოცემული, დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე, ჩასმულია დერმანტინის ყდაში, შეიცავს 156 გვერდს და ღირს 14 მან.

ბოღშევიკურ ყრილობას

ვიქტორ გაბესკირია

მისდევდა ფიქრი ქართველისა ღრუბლებს, ჩინარებს
ან მოდუდუნეს და მედიდურს ქარში მდინარეს.

ფიქრობდა იგი და გვერდით კი ჩრდილში წახრილი
მოსჩანდა სახლი სევდიანი, ყავარაყრილი.

მაგრამ მოვიდა უძლეველი თქვენი ლაშქარი —
ბედნიერების, სიხარულის გააღო კარი!

სად არ მიხველით, რომელ მინდორს, მთას არ ეკვეთეთ!
ჩამოაშორეთ ნარ-ეკალი ყველგან სიკეთეს.

უდაბნოს მწირსა, მოწყურებულს — წყარონი ასვით
ოქროსფერ ნოხზე — ოქროსფერი ბუჩქები დასვით.

ელნათურები, ვით ჩიტები ყვითელგულები
ღამის ფარჩაზე ყვითელ ძაფით მოქარგულები

მოსჩანან ყველგან, და იისფერ სინათლით მოსილს
ამკობენ ღამეს განახლებულ საქართველოსი.

უცხო ხეები აუყვავეთ გაზაფხულს, აპრილს.
თქვენ შეურიეთ ოქროსფერი შავიზღვის ნაპირს.

ბაღათ აქციეთ ვრცელ კოლხეთის ველი, ტბორები
და იქ შეუშვით თქვენ ჩრდილების ნიამორები

ოქროს ბუჩქების, ოქროს ხეთა — გალაღებული!
და მზის ჩასვლამდე დადის ბაღში მათი კრებული.

დაკრიფეთ ველზე თქვენ ღერები მზის თაველისა
და დააყარეთ ის ოქროს წიგნა რუსთაველისა!

თქვენ აღადგინეთ დღეს ქალაქი კლდეებში თლილი,
თქვენ დაუბრუნეთ წართმეული სიცოცხლე თბილისს.

და ჩონგურიც კი წინაპართა თქვენ გაიხსენეთ,
მივიწყებული ყრუ კედლიდან ის ჩამოხსენით.

მის ნაზ სიმებზე ისე არვის არ უმღერია,
რომ არ ახსენოს სიყვარულით ლექსში ბერია!

რადგან მის საქმეს სიხარულის სხივნი ამკობენ,
მის ამბავს ველნი, მდინარენი, მთები ამბობენ!

„ციტრუსების ქვეყანა“ ნახ. გძელიშვილ ისა.

ბელადის სახლისაკენ

ვ. უგილავა

წავიდეთ კიდევ!
ხშირათ ვართ გორში,
მაგრამ იქ ყოფნა მომწყურდა დღესაც.
რა სჯობს, — ვიმზიროთ იმ ნეტარ ქოხში,
ვუმღეროთ გორის მიწას და ზეცას.

წავიდეთ კიდევ!
ო, როგორ მინდა
ვხედავდე მის ჭერს, მადლიან აკვანს,
ვნახო ჯუღაანთ კერია წმინდა
და ქოხს გარშემო ბალი რომ აკრავს.

ხომ გრძნობ
გაზაფხულს, ბუნების სითბოს;
უღელტეხილზე აწეულ ყოფას,
ზღვისა და ზეცის მფლობელთა ფიქრებს
და ზურმუხტოვან ნიაღვრის შფოთვას.

ამ განახლების
ოსტატზე მინდა
მე, მეგობარო ვიმღეროთ მარად;
მაშ ვნახოთ მისი აკვანი წმინდა,
მზის ნაბუდარი შემოგხვდეს ბარად.

წავიდეთ კიდევ!
ხშირათ ვართ გორში,
მაგრამ იქ ყოფნა მომწყურდა დღესაც,
წავიდეთ, დავრჩეთ იმ ნეტარ ქოხში,
ვუმღეროთ გორის მიწას და ზეცას.

შენ ხარ ჩვენი მზე სულ ჩაუსვლელი

შალვა აფხაიძე

საღამო იყო და მაღალ მთაზე
ახალ სიღნაღის დიდება კრთოდა.
იყო კახეთის ცის სილაჟვარდე
და ალაზნიდან ნიავი ქროდა.

დატკბა გარემო ბაღის სურნელით,
კავკასიონის გადმოწვა ჩრდილი
და ამ მშვენების ხილვის მსურველი
ამოეუეუნდა მთვარე გაზრდილი.

ალაზნის სიოს კი თბილი ფრთებით
მოჰქონდა მინდვრის და ტყის ალერსი.
შემოციმციმდა ამ დროს ნათებით
სოფლად სიმღერა უსაყვარლესი.

„დიდო ბელადო, სიცოცხლე ჩვენო,
თვალის სინათლევ, მამავ ხნულისა,
ჩვენი ულრუბლო დღეთა გამჩენო,
ამწვანებელო გაზაფხულისა!

ნანატრ ცხოვრებას მიეცი ფერი,
მორწყე გმირობით ეს მთა და ველი.
მთელი კავშირი შენს სახელს მღერის,
რომ ხარ ჩვენი მზე სულ ჩაუსვლელი.

შენმა მარჯვენამ ამოგვიყვანა
ამ დიდ მწვერვალზე დიდი, პატარა.
ისე ახლოა, ვით დედის ნანა,
შენი სიტყვა და საქმე ანკარა.

ჩაგვიდგი მშრომელს ენა და თვალი,
დღე გაგვიდიდე მეტი კაშკაშა.
შენ დაგვიწერე ხალხს სამართალი,
ხალხის ხმა ხაროს შენს გმირულ ხმაში.

შენი ნათქვამი სიტყვა ყოველი
ბვალხენს, ვით ჯეჯილს წვიმა ჟუჟუნა.
აზრი, სურვილი, ოცნება მწველი
შენი სახელის გარშემო ბრუნავს.

შენით ბუნებამ ძალა დაგვითმო,
ადამიანად აქციე მონა,
მთელი სიცოცხლე და მთელი სითბო
შენმა არსებამ ხალხს ჩააკონა.

შენ გაგვიჩაღე ჩამქრალი კერა
მარად მგზნებარე, მზრუნველი ფიქრით.
ხალხის აზრი ხარ და გულის ძგერა —
ჩვენ მომავლისკენ შენი გზით მივქრით.

ვიდრე ზღვა ღელავს და არ დაშრება,
ხალხი შენს დროშას ატარებს გულით,
ვიდრე ცას ამკობს ვარსკვლავთა კრება,
ხე იყვავილებს შენგან დარგული.

რადგან შენა ხარ ჰაერი მისი,
დიდი სიმართლის მთესველი უხვად,
როგორ გაჰქრება ხალხში ხალისი
ან გაეცლება ქარიშხალს მუხა!

დავწვები, ძილში ჩამყვება შშვ იდი
სახე და ვხარობ მე ამ სანახით.
განა ღამეა? დღე არის დიდი,
განათებული მშობლიურ სახით.

ვდგები და მყვება, ვით დილის ნამი,
კეთილი სახით აღსავსე სივრცე.
ხმაო, გაფრინდი, სტალინს — სალამი,
ერთი გული მაქვს — მზად ვარ მას მივცე.

დღეს ხომ ლაჟვარდი არ დაელევა,
ალაზანს კიდევ წყალი ხმიანი.
შენ შეგვაყვარე გრიგალი, ელვა,
ცა, ყვავილი და ადამიანი.

მოგვეც ცხოვრება ოქრო ნადენი,
ბედნიერებით უხვად ფენილი
და წინ მიგვიძღვის ჩვენ შეავრდენი,
შენი ბუდიდან გადმოფრენილი“.

მე ამ სიმღერამ აღმაფრთოვანა,
თან დიდი შუქი ჩაუშვა გულში
და ვხარობ, როგორც ღაღანა ყანა,
მზით ავსებულ და ცვრიან ზაფხულში.

სამშობლო

იაკინთე ლისაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენ სინათლეს და სიხარულს ფაფრქნეულ ბუნებას
რამდენი ძალაც სიკაბუკის ფეთქავს ბოლქვებში
შენ გადმოგვეცი, მოვიპოვეთ ... ...
როს ყვავილებმა გაანათა ახალ ბაღებში
და სიყვარულმა აგამაღლა ზეცის თაღებში.

თუ ყოველ ნაბიჯს ამოწვდილი ხმალი მოსდევდა
და თუ წინაპრებს სისხლის ღვარი არ შეშრობია,
ახლა სხვა დროა, გაიხარე, მშობელო დედავ,
ერთად მოიმკე ათასი წლით რაც გიშრომია,
შენ დიდი შვილი ქვეყნისათვის რომ გიშობია.

შენ ცისკარი ხარ დაუქრობი, დაუფერფლავი,
შენი შვილები ამ ეპოქის სასწაულია,
აანთე გული სიყვარულის შუქით მფეთქავი.
თითონ ბელადი, უძლეველი ხალხის გულია,
და დიდ მედროშეს საკუთარი მკერდით უვლიან.

ზღვისა და მთების სიმფონია დაუშრეტელი
ატკბობს შენს სმენას და სიამით სუნთქავს ყოველი,
თუ გული ჩვენი, ვით კლდეების მტკიცე კედელი,
გაუტეხელი, კიდევ მრავალ ბრძოლებს მოელის,
ჩვენ აქაც გვჯერა —გაიმარჯვებს ხალხი მშრომელი.

გავანადგურებთ მტრების ყველა ზრახვებს დაფარულს
და კიდევ მეტად განათდება ჩვენი ქვეყანა.
ერთად შევძახებთ: გაუმარჯოს ხალხის სიხარულს,
ქარხნებს, ჩანჩქერებს, მალაროებს, ბაღსა და ყანას,
სამშობლო ქვეყნის გაზაფხულმა რომ მოიყვანა!

უფრო ადიდდეს, აშრიალდეს ზღვა და ხმელეთი,
წარსულის კვნესა სამუდამოდ დაგვავიწყდება,
ჩაიფერფლება ყველა მტერი, ხმლით განაკვეთი,
ყველგან ყვავილი სიყვარულის ამოიზრდება
რწმენის სინათლე არასოდეს არ დამიწდება.

სადაც ნიავი გადაფურცლავს ტალღებს მჩქეფარეს,
სადაც მწვერვალებს აფერადებს ოქროს სხივები,
ნამის წვეთები დედამიწას ალბობს, ახარებს
რომ უფრო მშვიდად გაიფურჩქნოს ნაზი იები,
ეს სამშობლოა, წარმომშობი დიდი გმირების!

რამდენი გმირი წინაპრების მარხია ხელი,
იმდენი ხმალი განისვენებს, ბრძოლით ნაფერი,
მაგრამ ეგ სული, სამუდამოდ გაუტეხელი,
სასტიკ ბრძოლებში დაიქუხებს ახალ სიმღერით,
წამოვა, როგორც მოვარდნილი მთიდან ლანქერი.

თუ ჩვენი ქვეყნის სიმაგრეებს მოადგა მტერი,
კბილების ღრჭენით შეაჯახა მახვილს მახვილი,
ვიცით, მომხდურთა არ დარჩება ჰაერში მტვერიც,
ადგება ხალხი საკავშირო ძმურ შეძახილით
და მტერს დაამხობს მისი რისხვის ჭექა-ქუხილი.

უფრო ადიდდეს, აშრიალდეს ზღვა და ხმელეთი,
წარსულის კვნესა სამუდამოდ დაგვავიწყდება,
ჩაიფერფლება ჩვენი მტრები ხმლით განაკვეთი,
ყველგან ყვავილი სიყვარულის ამოიზრდება
და კომუნიზმი ქვეყანაზე ყველას მიწვდება.

სიხარულის დღე

კალე გოგოხიძე

მოშრიალეს, მობიბინეს
მწვანე ბაღს და ლამაზ მდელოს,
— მზიან სხივები მოაფინე,
აყვავებულ საქართველოს!

იკოკესლი და გაიხარე
საყვარელო ჩვენო ერო,
ფრთა გაშალე გმირთა მხარევ
მდიდარო და მშვენიერო!

ყვავილი და ბიბინდი
ბაღ-ვენახო, მწვანე მდელოვ,
ვადიკარგა ღამის ბინდი
ხარობს ხალხი სასახელო!

გაგვითენდა ნატვრის დილა,
ველი ბრწყინავს ათასფერად;
ჩვენი ხალხი მოირის ტაბიოლად
და შეჰხარის ძვირფასს ბელადს

მოვაკილეთ ჩვენს ქვეყანას
წყვდიადი და ბნელი ნისლი
და მწვერვალზე ავიტანეთ
დიდი დროშა ლენინიზმის.

ეს დიადი სიხარული
ყრილობიდან მთებმაც იგრძნეს
და სტალინის სიყვარული
ანთებულა ხალხში სიბრძნედ.

ვინც მტარვალი დაბლა დასცა
და მხნეო იკავს სადარაჯოს,
მძლე სტალინელს — ვაჟკაცს
ნაცადს
ჩვენს ბირიას გაუმარჯოს!

ქარხანაში*

დემნა შენგელაია

1

ამქრის წესით შეგირდს ოსტატთან სამი წელიწადი მუქთად უნდა ემუშავა, სამიც ქარგლად და ხელოსნად მხოლოდ მას შემდეგ დამტკიცებდნენ.

ადელხანოვმა სარფიანად გამოიყენა ეს ადათი და ქარხანაში უმეტესად შეგირდებსა და ქარგლებს ამუშავებდა.

მუშაობა დილის ექვს საათზე იწყებოდა და ცხრაზე სრულდებოდა, მაგრამ აღა ამასაც არ სჯერდებოდა,—სხვა ჯარიმებს გარდა, მუშებს გამზადებულ ფეხსაცმელს ათასი შარით უწუნებდა და, რაც უნდა კარგი ოსტატი ყოფილიყო, თვეში ჯამაგირად ცხრა-ათ მანეთს თუ გამოუყვანდა.

ქარხანა სულ ექვსი საამქროსაგან შესდგებოდა და ექვსიეში შვიდასი სული მაინც ტრიალებდა. ყველგან ჭუჭყი და აუტანელი სივიწროვე, ხვალინდელი დღის უიმედობა იყო გამეფებული.

ბესო ხედავდა, რომ ტფილისში ცხოვრება გაუძნელდებოდა, მაგრამ რას იზამდა, სხვა გზა არა ჰქონდა, აი, ცოლ-შვილიც ჩამოიყვანა და ახლა არ იცოდა, რით დაერჩინა ისინი. ბოლოს ადელხანოვის ქარხანაში დაიწყო მუშაობა.

სოსოც მამას ეხმარებოდა, ქარხანაში ხშირად დადიოდა და პირველ დღიდანვე შეამჩნია, რომ რამდენიმე მუშა ღვინის სარდაფს ავრერგად არ ეტანებოდა. თავისუფალ დროს მოახელეებდენ თუ არა, სადმე მყუდრო ადგილას მისხდებოდნენ და ჯიბეში ნადებ დაჭმუჭნულ გაზეთს ხამამაღლა კითხულობდნენ.

ჯაბანაანთ ფიდასა და ტაბახმელელ კოლას ბინაც ერთად ეჭირათ, სამუშაოდაც ერთად მოდიოდნენ და ნამაბაშვეზე შინ ერთადვე ბრუნდებოდნენ.

საწყალი ფიდა ერთი ცად-აწოწილი ბიჭი იყო, ჭლექისაგან ჩამომხმარი და ხველა რომ აუტყდებოდა, კი არ ახველებდა, ბუხუნობდა მკერდ-ჩაგრეული. მუშები ზეზეულად ჩამომდნარ ბიჭს უილაჯო სიბრალულით შესცქეროდნენ და თავს სინანულით იქნევდნენ. ხედავდნენ, როგორ ამოჭქონდა სისხლი ნახველთან ერთად და როგორ თავდებოდა ნელ-ნელა ეს სიცოცხლით სავსე ყმაწვილი კაცი.

ბესოს სამუშაო დაზგა მათ მახლობლად ედგა და მისი შვილი თვალ-ყურს გაფაციცებით ადევნებდა, თუ რას აკეთებდნენ ისინი, რაზე საუბრობდნენ ან რას კითხულობდნენ. ბოლოს ყურადღება იმითაც მიაქციეს ამ ბალღსა. მალე იმდენად მიენდვნენ კიდევაც, რომ აღარაფერში აღარ ერიდებოდნენ. ბევრ სანამუსოს მასთან გულახდილად ამბობდნენ, გაზეთებსაც ხშირად აკითხებდნენ, თვითონ კი გატრუნულნი ისხდნენ და ყურს უგდებდნენ. ყველაზე მეტად სოსოს მაინც ის ფიდა უყვარდა. როგორღაც იგი მას ზურიას აგონებდა და, ალბათ, ამიტომ, ანდა ავადმყოფი რომ იყო, იქნებ იმიტომაც, სულ თან დასდევდა და მალე იმდენად შეეთვისა, რომ უიმისოდ მხარ-ჩამოვარდნილივით იყო.

— ბიჭო, მომშორდი, ხო ხედავ, ჭლექითა ვარ ავად და ეხლა შენი ცოდოც არ ამკიდო!—ეტყოდა ხოლმე იგი ალერსიანი სიყვარულით, მაგრამ ბალღი მაინც არ შორდებოდა.

დილაობით იგი ხშირად აგვიანებდა მოსვლას, მაგრამ ამხანაგები მუდამ ისე ახერხებდნენ, რომ მექარხნეს არ გაეგო.

ერთხელ ბალღმა ვერ მოითმინა. დოსტს დრო უყალა და შეეხვეწა:

— ძია, სამუშაოზე ეგრე ხშირად ნუ აგვიანებ, რაა!..

— რათა, შვილო?—შეეკითხა გაკვირვებული ძია.

— აღამ რომ გაიგოს, დაგითხოვს...

ფიდას გაეღიმა, თავზე ხელი გადაუსვა და სიტყვა ისე მოუჭრა:

— რა ვქნა, სოსოჯან!.. ღამითა წგნს ვკითხულობ და ჩამეძინება ხოლმე. იმ ვერანა კოლასაც რამდენჯერ ეუთხარ, მაგრამ არ მაღიარებს... ამბობს, მგრძალებიო...

იქვე, მათ გვერდით, ერთი ახლად მოსული გურული ბიჭიც მუშაობდა იმ სატიალეს სახელიც უცნაური ჰქონდა და გვარიც,—ესიკა ჭილოფთარი. ქართულსაც რაღაც სხვანაირად უქცევდა, მაგრამ ფიცხი იყო, ფიცხი, რომა, აჰ!..

ერთხელ მან სიტყვა თავის მშობლიურ გურიაზე ჩამოაგდო და მერე ბათუმიც გაიხსენა. თურმე იქ როტშილდის ქარხანაში სატრანსმისიო ღვედებს აკერებდა და იქაური ნავთჩამსმელი მუშების გაჭირვება რომ ასწერა, ფიდამ ხვნეშითა სთქვა:

— ეგრეა, მაშა!.. მუშა ყველგან ერთი დღეშია და იმისი აზრიც ერთია: წურბელა ადელხანოვებისა, როტშილდებისა და მანთაშოვების თავიდან მოშორება...

2

ადელხანოვის გამჭრიახ თვალებს არ გამოეპარა იმათი საეჭვო მეგობრობა და მეთვალყურედ ვინმე ბაბა შიბანაშვილი მიუჩინა. ეს ბაბა ერთი ბაჯაჯღანა რამ კაცი იყო, მხარბეჭიანი და თავდიდა. ბესო მას ჯერ კიდევ იმ დროიდან იცნობდა, სანამ ბარამოვი გორს წრიაყვანდა. მაშინაც არ იყო კარგი კაცი და ეხლა სულმთლად გახრწნილიყო. ცოლ-შვილი ქუჩა-ქუჩა გლახებად დაუდიოდა და თვითონ მთელი ღამეები საროსკიპოში ეგდო. ცუდად მუშაობდა, ქარხანაშიც, როცა უნდოდა, მაშინ მოვიდოდა, მაგრამ პასუხს არავინა სთხოვდა. არაფერს არ აკეთებდა და ჯამაგირს კი ყველაზე მეტს იღებდა.

ყველას სულში უძვრებოდა, ყველგან ბეველივით სისინებდა, არ უჭირდა და გაჭირვებას განზრახ სჩიოდა, რომ მით ვინმე გაებრიყვებინა და ხაზეინის ძვირი ეთქმევინებინა, მაგრამ ყველა იცნობდა რაც შვილი იყო იგი, ყველას დასანახავად ეჯავრებოდა და კეთროვანსავით ახლოს არავინ იკარებდა.

ბესო მას ძაღლადაც არ აგდებდა და თავის საუბარს მუდამ დაურიდებლად ამბობდა.

ერთ შაბაშზე ბაბა გვერდით მოუჯდა და სიტყვა თარსულად ჩამოუგდო:

— შენა, ბესოჯან, ი შენი ბიჭი რო იგრე ულვთოდ ფუჭდება, რატო თვალს არ დაიჭერ?.. წერა კარგი იცის და კითხვაც. მოდი ხაზეინს ვთხოვოთ, იქნებ კანტორაში დაიყენოს, ჰა?

ბესომ ერთი ირიბულად ახედა, მერე ხელი ჩაიქნია. არა უთქვამს რა, ბაბამაც სიტყვა რომ აღარ გაუგრძელა, ნაგვიანებად უპასუხა:

— ოა ვქნა, ბაბაჯან, ბალღია, კანტორაში იმას რა უნდა!?—და მერე სიტყვა უკვე შეაბრუნა:— ბალღია, ბაბაჯან, ბალღი, მაგრამ ეხედავ, რომ თავისი გზა იმან ჩემზე კარგად იცის... ეეხ, ნეტავ არ ჩამომეყვანა... ეხლა გვიან ღა ორის!.. შვილი ნადირსაც უყვარს და მე ხომ კაცი ვარ, დალოცვილი!.. გულმა არ მომითმინა... მომენატრა, იგრე მომენატრა, რომ ვერ გავძელ, ავდექ და წამოვიყვანე... ეხლა მალე ისევ უკან უნდა გავგზავნო. კაცი ვარ, ბაბაჯან, კაცი და ჯიგარი მეცა მაქვს, მაგრამ, ვხედავ, დედაკაცის ჭკუამ უკეთ გასჭრა და მეც რა ძალა მაქვს, უნდა დავყაბულდე.

— რატომა, ბესოჯან, რატომა?..

ოსტატს არც გაუგონია ეს სიტყვები, არც ის ახსოვდა, თუ ვისთანა ჰქონდა საქმე, თავში შავი ფიქრები ბორიალებდნენ და პასუხი, ბაბას კი არა, თავის ფიქრებს ისე გასცა, თითქოს თავისთვის ლაპარაკობდა:

— ის ნასწავლია და მე ბნელი, ერთი უწიგნო კაცი ვარ, რაღა! აი ამ მარჯვენის იქით არა გამაჩნია რა... ჩემი ჭკუა იმასთან რას გასჭრის!.. ერთ დროს იგრე მეგონა, თითქოს ეს სოფელი ჩემს ჭკუაზე ტრიალებდა—თუმე მაგათ კვალზე მიდის...—სთქვა ნაღვლიანად, თავი მაღლა აიღო და პირში მოჩერებული ბაბა მხოლოდ ახლა შეამჩნია.

— ადე, შენი ნამუსიც!.. წამოიძახა ზიზღით და ხელი დასტაცა ალბათ, თავს გაუტეხდა, მაგრამ ჯაშუშმა დროზე უშველა თავს, ჩამოეცალა და ახლა იქით გაემართა, სადაც რამდენიმე კაცი ერთად მიმსხდარიყო და რაღაცაზე წყნარად ბაასობდა.

ყველაზე მეტად სოსოს სადილობის ეს დრო უყვარდა.

ალიონიდან დაწყებული მუშაობით ილაჯგაცლილი მუშები საღილობდნენ. პურს რომ სჭამდნენ, თან ათასნაირ ამბებს იგონებდნენ:

ბაბას მოახლოვებისთანავე ყველა გაჩუმდა.

ბალღმა უცქირა, უცქირა და მერე არც აცია, არც აცხელა, ისე შეეკითხა:

— ძია, რათა ხარ ეგეთი ცუდი კაცი, ჰა?

— უუ, შენი!.. — დაილუმვლა ბრაზით ბაბამ. ალბათ, შუაზეც გაგლეჯდა, მაგრამ წინ ქილიფთარი რომ გადაუდგა,—ფუ, თქვენი დედის ღმერთიცაო,—უწმაწურად შეიგინა და უმწეო ბრაზით გვერდზე გადაფურთხა. მერე ოთხკუთხი თავი მხრებში ჩაიტანა და უშნო ბაჯბაჯით კანტორისაკენ გაემართა.

3

იმ ხანებში ენფინჯიანცის თუთუნის ქარხნის მუშები გაიფიცნენ.

მექარხნეს თურმე ოდესიდან ჩამოტანილი რაღაც გილზების დასახვევი მანქანა ჩამოეტანა და სამუშაოდან ოცდაექვსი კაცი მოეხსნა. ამხანაგებმა დათხოვნილებს მხარი დაუჭირეს, მანქანა ერთიან დალეწეს და მუშაობაზედაც ხელი აიღეს.

ეხლა იმათი კაცები იქაც მოვიდნენ და ხალხსა სთხოვეს, რომ იმათ მხარი ისევე დაეჭირათ, როგორც ზეიცერისა, ჯიმშეროვისა, ბოზარჯიანცისა და კიდევ რამდენიმე ქარხნის მუშებმა დაუჭირეს.

ამის გაგონებაზე ფიდას ჩავარდნილი და გაუპარსავი ლოყები ერთიან წამოუქარხალდა, თვალებიც ცეცხლით აენთო და ხელის აქნევით დაიძახა:

— ხალხო, რას უდგეხართ?... თუ ძმობაა, ძმობა იყოს! ავდგეთ, მუშაობაზე ჩვენც ხელი აეღოთ!... განა ჩვენც ამათსაეით შავ დღეში არა ვართ? ჯაფით წელი გვწყდება და მაინც შიმშილით ვიხოცებით!.. მუშაობას რო ვიწყებთ, ბნელა, ვთავებთ—ბნელა. ერთხელ ჩვენც გაგვითენდეს!.. დღეში თუმნის საქმეს ვაკეთებთ და ხაზეინი უზალთუნსაც ძლივს იმეტებს... ფაიტონის ცხენები არა ჰყავს იმ დღეში, ჩვენ როგვყეგართ!... აბა ჩოთქში ჩააგდეთ: შვიდასი კაცი ვართ, დღეში შვიდას თუმანს მაინც ვაკეთებთ და ჩვენ რა?.. სამი აღლი მიწა და ოთხი ფიცარი!..—მაგრამ სიტყვა ხველებამ გააწყვეტინა, ახველებდა დიდხანს— და ნახველი რომ ამოიღო, ისევ განაგრძო: — მოდი, ჩვენც იგრე მოვიქცეთ, როგორც სხვები იქცევიან!.. იქაც ეგრეა, გრანიცაში, მაშა! მარტო ჩვენ როდი ვართ ეგრეთ დღეში! ერთმანეთს მხარი უნდა დაუჭიროთ, იგრე ვერას გავხდებით!..

საიდან არ იყო, ამ დროს ბაბა შიბანაშვილიც გაჩნდა და ღვინისაგან ჩახლანძული ხმით აღრიალდა:

— ეე, ეე, ახმახ!.. შენ აქ პატიოსან ხალხს ნუ აბუნტებ, თორემა!..

— თორემა რა?..—შეეკითხა ესიკა ქილიფთარი გამომწვევად.

— ერთბაშად ყურებზე ხახვი არ დაგვაჭრა!..—დაიწია ამხანაგს სიტყვა ტაბახმელელმა კოლამაც,—შენ ჭკუაზე მოდი, თორემ იგრე გაგთელო, რომა, მგონი, ან შენმა ხაზეინმა შეგახედოს, ბასტურმა ეგონო!

ალბათ, ჩხუბიც დაიწყებოდა, მაგრამ ამ დროს საყვირის ხმა გაისმა, —შაბაში დასრულდა. შეკრებილ ხალხს თითო-ოროლა კაცი გამოეყო და, ქარხნისაკენ თავჩაღუნულნი რომ გაემართნენ, მათ სხვებიც მიჰყვნენ.

— სა მიხვალთ?..—აყვირდა ესიკა ცეცხლ-შემონთებულივით.—მაშინ მოკვდეს ესიკაი, თუ თქვენ ზაოდში შეგიშვათ!..—ხალხს წინ გადაასწრო და კარებში გადაეღობა. მას სხვებიც მოეხმარნენ და გზა შეჭკრეს.

— რას სჩადიხართ!?..—გაჰყვიროდნენ ისინი.—ამ ხალხს რა, პასუხს აძლევთ?.. ამხანაგების გატანა არა გეკოდნიათ! ჩვენც გავიფიცნეთ. მუშაობაზე ხელი ავიღოთ!

ხალხი შედგა.

არ იცოდა, რა გზას დასდგომოდა

შიბანაშვილმა ამ დაბნეულობით ისარგებლა და კანტორისაკენ გაეშურა. მაგრამ სოსომ დროზე შეასწრო თვალი და ფიდას მიაძახა:

— ძია, ძია, ბაბას შეხედე, ბაბასა!..

— ვხედავ, სოსოჯან, ვხედავ იმ იუდის კერძსა!..—მიუგო მან და მერე გამცემს მიუბრუნდა:—იუდავ, გამყიდველო, სად მიდიხარ?..—მაგრამ მან დრო იხელთა და კანტორაში შეასწრო.

ცოტაც და ეზოში თვით ადელხანოვი ბურთიგით გამოგორდა.

— რა ყოფაში ხართ?!...—ყვიროდა იგი და თან მუშებისაკენ გაეცეცხლებული მორბოდა.—რას ჩადიხართ, თქვე ნაძირალებო, თქვენა!.. მაგ იმერელს რას აჰყოლიხართ, ან იმ ჭლექიანსა?! პურს გაჭმევთ, სამადლოდ გინახავთ და ბუნტსაც მემართლებთ?...—და მერე, თითქოს ახლა გაახსენდაო, კიდევ უფრო აღრიალდა: — ის ტაბახმელელი ფიდა სად არის?.. გაგაბრიყვათ, აგაბუნტათ და თვითონ დაიმალა განა!

ხაზეინს სიტყვა დასრულებულიც არ ჰქონდა, რომ ფიდას ყვირილი მოისმა:

— ეე, ეე, დაუკრეფავში ნუ გადმოდიხარ, თორემა!.. ხალხი გაარღვია და ვრძელი ნაბიჯებით ხაზეინს პირში წაუდგა.

— ეხლავ აქედან გაეთრიე, შეაინონს გლახავ, შენა!... — აუყვირდა ჭექარხნე. — ავად იყავ, სამადლოდ გინახავდი, ეხლა გეყოფა, წადი! სადაც გინდა, იქ წადი და თავი დაირჩინე!.. უუ, შენი ქოქი არ ეყოს, შენი!

ფიდას აინუნშიაც არ ჩაუგდია იმის ყაყანი, მაგრამ ბოლოს, თავს რომ ძაან გაუვიდა, მოთმინება აღარ ეყო.

— ეხლა მაგდებ?!..—სთქვა წყნარად, მაგრამ ყველას გასაგებად, — როგორ თუ სამადლოთ მინახავდი?.. მე მინახავდი, თუ შენ გინახავდი, შე ღორო, შენა?.. გაგასუქე, ქონით გაგტენე და ეხლა მაგდებ გავთავებ და ეხლა მაგდებ რაღა!.. ჩემი სიყმაწვილე შენ გამდიდრებას შევალიე და ახლა აღარ გინდივარ რაღა!.. ოცდახუთი წლის კაცი ვარ, ოცდახუთისა და თხუთეტი წელიწადია დღე არ მინახავს, სულ შენ ზაოდში ვალამებდი, აჰა, შემომხედე, ეხლა სიცოცხლეც მიღამდება. ბრიყვი ვიყავ, აღაჯან, ბრიყვი და ბა არ ვიცოდი, რომ მზის სინათლეს შენ მიბნელებდი!.. ეხლა მიგხვდი, მინდა სხვას უთხრა და იმიტომ მითხოვ განა?.. ეს წითელი ლოყები, თურაშულიეით რომ აგვივებია, საიდან არი, ჰა? ჩემი სისხლია, ჩემი სისხლით ავსებულხარ და ის ღაჟღაჟებს! ეს ატაყებიანი სახლები რო გაგიჭიმავს, საიდან არის?.. მე აგიშენე, ამათ აგიშენეს! ჩვენი სისხლით ყელამდე აივსე, ჩვენი ოფლით აშენდი. ჩვენი ჯანით დოვლათი იმოვე და, სულ რო დავიშრიტე, ეხლა მაგდებ განა?.. ხალხნო, აბა ერთი დამხედეთ!.. — და ამ სიტყვებით პერანგის საკინძე განივრად შემოიფხრიწა და ჩანგრეული მკერდი საქვეყნოდ მოიშიშვლა. — ხედავთ, ხო ხედავთ, ძმებო?.. თქვენც ეს დღე მოგელოთ, თუ ხმას არ ამოიღებთ!.. — მაგრამ ხმა ჩაუწყდა, სიტყვები რაღაც გრიალმა დაჰფარა და ამ გრიალში ალა ყაფის კარები ისე ვაღეო, რომ არავის ეფუგონია. ეზოში პოლიციელები შემოცვივდნენ!

—Разойди-исы!.. Разойди-исы!..

ბოლშევიკურ ყრილობას

ვიქტორ გაბესკირია

მისდევდა ფიქრი ქართველისა ღრუბლებს, ჩინარებს
ან მოდუდუნეს და მედიდურს ქარში მდინარეს.

ფიქრობდა იგი და გვერდით კი ჩრდილში წახრილი
მოსჩანდა სახლი სევდიანი, ყავარაყრილი.

მაგრამ მოვიდა უძლეველი თქვენი ლაშქარი —
ბედნიერების, სიხარულის გააღო კარი!

სად არ მიხველით, რომელ მინდორს, მთას არ ეკვეთეთ!
ჩამოაშორეთ ნარ-ეკალი ყველგან სიკეთეს.

უდაბნოს მწირსა, მოწყურებულს — წყარონი ასვით
ოქროსფერ ნოხზე — ოქროსფერი ბუჩქები დასვით.

ელნათურები, ვით ჩიტები ყვითელგულები
ღამის ფარჩაზე ყვითელ ძაფით მოქარგულები

მოსჩანან ყველგან, და იისფერ სინათლით მოსილს
ამკობენ ღამეს განახლებულ საქართველოსი.

უცხო ხეები აუყვავეთ გაზაფხულს, აპრილს.
თქვენ შეურიეთ ოქროსფერი შავიზღვის ნაპირს.

ბაღათ აქციეთ ვრცელ კოლხეთის ველი, ტბორები
და იქ შეუშვით თქვენ ჩრდილების ნიამორები

ოქროს ბუჩქების, ოქროს ხეთა — გალაღებული!
და მზის ჩასვლამდე დადის ბაღში მათი კრებული.

დაკრიფეთ ველზე თქვენ ღერები მზის თაველისა
და დააყარეთ ის ოქროს წიგნა რუსთაველისა!

თქვენ აღადგინეთ დღეს ქალაქი კლდეებში თლილი,
თქვენ დაუბრუნეთ წართმეული სიცოცხლე თბილისს.

და ჩონგურიც კი წინაპართა თქვენ გაიხსენეთ,
მივიწყებული ყრუ კედლიდან ის ჩამოხსენით.

მის ნაზ სიმებზე ისე არვის არ უმღერია,
რომ არ ახსენოს სიყვარულით ლექსში ბერია!

რადგან მის საქმეს სიხარულის სხივნი ამკობენ,
მის ამბავს ველნი, მდინარენი, მთები ამბობენ!

*) თავი მოთხრობიდან

ბესარიონ ბელინსკი

ბარდაცვალებიდან 100 წლის შესრულების გამო



ოთხმოცდაათი წლის წინათ გარდაიცვალა შრომითა და ბრძოლით ღონე-მიხდილი, მაგრამ სულიერად გაუტეხელი და იდეურად მოუდრეკელი დიდი რუსი კრიტიკოსი და პუბლიცისტი ბესარიონ ბელინსკი.

ბელინსკის მოღვაწეობა, რომელიც რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ ეპოქას გამოხატავს, წარმოადგენს დამოუკიდებელს, უაღრესად მაღალ საფეხურს არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო ლიტერატურის განვითარებაში. ბელინსკი რუსული კულტურის ერთ-ერთი ბუმბერაზი წარმომადგენელია, რომლის მემკვიდრეობამაც საგრძნობი კვალი დაჩნია კერძოდ ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიას სამოცდაათ წლებში.

ბელინსკის ლიტერატურულ-კრიტიკული მემკვიდრეობა დღესაც რჩება უძვირფასეს განძად ჩვენი საბჭოთა კრიტიკისათვის, რადგან მის მოღვაწეობაში შესანიშნავად არის შეთავსებული ღრმა მოაზროვნე და პოლიტიკური მებრძოლი, ხელოვნების ნაწარმოებთა ფაქიზი დამფასებელი და სოციალური სიმართლის მგზნებარე პროპაგანდისტი, ბრწყინვალე პუბლიცისტი და მხატვრული კრიტიკის დიდი ხელოვანი. მისი კრიტიკა ერთსა დაიმავე დროს იყო მეცნიერებაც, პუბლიცისტიკაც და მხატვრობაც.

თავის დროის მოწინავე იდეების პროპაგანდისტმა, პოპულიარიზატორმა, პამფლეტისტმა და ნამდვილმა მეცნიერმა ბელინსკიმ დასტოვა უმდიდრესი მემკვიდრეობა.

როგორც ცნობილია, **ლენინი** ბელინსკის, ჩერნიშევსკისთან და გერცენთან ერთად, სთვლის რუსეთის სოციალ - დემოკრატიის წინამორბედად, რევოლუციურ - დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს წარმომადგენლად, რომელმაც თავისი ლიტერატურულ - კრიტიკული მოღვაწეობით გამოხატა ფართო დემოკრატიული ფენების მისწრაფებანი, ბატონ - ყმობისაგან შეეიწროებული გლეხური მასების განწყობილებანი. **ლენინი** გვასწავლის, რომ ბელინსკის მოღვაწეობაში უნდა დავინახოთ ბატონ-ყმობისაგან გათელილი მშრომელი მილიონების სულისკვეთების, პროტესტისა და ბრძოლის გამოხმაურება.

ეს მომენტი განსაზღვრავს ბელინსკის კრიტიკული მემკვიდრეობის ძირითად ისტორიულ აზრს, მისი იდეური განვითარების მთავარ წამყვან ხაზს.

რით იტაცებდა ბელინსკი ჩვენი მესამოცე წლების მწერლებს და შემდეგი თაობის ხალხოსნებს? არა თუ მაშინ, ბელინსკი ახლაც გვანცვიფრებს თავისი ფილოსოფიური აზროვნების ძალით, ურთულესი ფილოსოფიური პრობლემების დასმისა და გადაჭრის უნარით. მას შესწავლილი და შეთვისებული ჰქონდა ჰეგელის ფილოსოფიის არსებითი მხარე — მისი დიალექტიკა. ბელინსკი თავის კრიტიკულ წერილებში დიალექტიკური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშებს გვაძლევს, მაგრამ ამავე დროს მისი გონება არ არის ცხოვრებისგან განდგომილი ფილოსოფოსის, „წმინდა“ მეცნიერების ფანატიკოსის გონება, რომელიც გაურბის პოლიტიკური ცხოვრების შფოთსა და ღელვას. უფრო მეტი: ბელინსკი არის შეურიგებელი, მგზნებარე მოაზროვნე, რომელსაც არა სწამს პალიატივები და კომპრომისები, იგი მეცნიერული კრიტიკის ნამდვილი ტრიბუნია, მებრძოლის გააფთრებული ტემპერამენტით, ტრიბუნი, რომელიც მუდამ მზად არის ეკვეთოს მოწინააღმდეგეს, რა ბანაკიდანაც არ უნდა იყოს იგი.

გაბედულობა თეორიულ აზროვნებაში, თანმიმდევრობა დასკვნებში, უაღრესი პრინციპიულობა და მუდმივი გულწრფელობა, მოურიდებლობა და მგზნებარება, — აი ის თვისება, რომელიც მან თავისსავე პირველ წერილებში გამოამჟღავნა და ურომლისოდაც შეუძლებელია წარმოვიოგინოთ ბელინსკი-კრიტიკოსი, იმდენად ორგანიზებულია ეს თვისება მისთვის, იმდენად ტიპიურია იგი მთელი მისი კრიტიკული მუშაობის სტილისათვის. თავის პირველ ნაშრომშივე — „ლიტერატურული ოცნებობა“ — ბელინსკი გამოჩნდა როგორც დამოუკიდებელი ორიგინალური მოაზროვნე, რომელმაც პირველად რუსული კრიტიკის ისტორიაში დაამუშავა რუსული მწერლობის განვითარების კანონზომიერებათა კონცეპცია, დაახასიათა ლიტერატურული მიმდინარეობანი — კლასიციზმი და რომანტიზმი, განმარტა ხალხურობის ცნება ლიტერატურაში, მოგვცა მთელ რიგ ცნობილ რუს მწერალთა შემოქმედების გონებამახვილი, ღრმადშინაარსიანი ორიგინალური დახასიათება.

უფრო გვიან ბელინსკი გაეცნო ჰეგელის ფილოსოფიას, გაემიჯნა შელინგისა და ფიხტეს იდეალიზმს და ხელი მოჰკიდა ჰეგელის ესთეტიკის ძირითად დებულებათა პროპაგანდას. ჰეგელის მიერ ხასიათებზე შექმნილი მოძღვრების მიხედვით ბელინსკიმ მოგვცა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის ნაწარმოებებში ასახული ხასიათების შესანიშნავი ანალიზი. ბელინსკიმ წარმტაცი და მასობრივი მკითხველისათვის მისაწვდომი ფორმით მკაფიოდ და მხატვრულად განმარტა ეპიკური, ლირიკული და დრამატიული პოეზიის რაობა, ამავე ფილოსოფოსის მოძღვრება ტრაგიკულზე და კომიკურზე ხელოვნებაში, მხატვრული შემოქმედების პათოსზე. ტიპიური ხასიათის პრობლემა, მხატვრული შემოქმედების სპეციფიკა, მხატვრული სახის პრობლემა, მოძღვრება ნაციონალურზე და ზოგად-კაცობრიულზე ხელოვნებაში, ხასიათის თავისებურების საკითხები ეპიურ ნაწარმოებში და დრამაში, ლირიკა და მისი იდეური შინაარსი, — ყველაფერი ეს ბელინსკის ღრმად და ყოველმხრივად აქვს დამუშავებული. დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა და ძალა ბელინსკის თეორიულ დასკვნებს ჟანრების განვითარების და ცვლათა შესახებ.

შემდეგ პერიოდში ბელინსკი სტოვებს ჰეგელიანობას და გადადის ფეიერბახული მატერიალიზმის პოზიციებზე. ამ პერიოდის ბელინსკისათვის „ცხოვრების დიალექტიკა“ ყველაფერია. ცხოვრება ხელოვნებაზე მაღლა სდგას, ხელოვნება და ლიტერატურა მისთვის ხდება მასების სოციალური განთავისუფლებისათვის ბრძოლის იარაღად. მისი აზრით, ლიტერატურა უნდა უპასუხებდეს, პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივ საჭიროებას, საზოგადოების მოწინავე ნაწილის მისწრაფებებს. ლიტერატურის საგანმანათლებლო დანიშნულება, — აი რა უნდა იდგეს წინა პლანზე, ბელინსკის აზრით. მისი ეს მოძღვრება ლიტერატურის ამოცანებზე, რომელიც შემდეგ ჩერნიშევსკიმ განავითარა, თავიდან ბოლომდე გამსჭვალულია რევოლუციური დემოკრატიული სულისკვეთებით.

ამ ეტაპიდან იწყება რევოლუციურ - დემოკრატიული კრიტიკის განვითარება რუსეთში, ჩვენ ვერ ავხსნით ვერც ჩერნიშევსკის, ვერც დობროლიუბოვის კრიტიკულ-ესთეტიკურ შეხედულებათა შინაარსს, თუ ჯეროვნად გათვალისწინებული არ გვექნება ამ ეტაპის მნიშვნელობა ბელინსკის ესთეტიკური აზროვნების განვითარებაში. ამ ეტაპიდან ბელინსკი გვევლინება რეალისტური ხელოვნების ნამდვილ თეორეტიკოსად.

როგორია ბელინსკის მოძღვრება რეალიზმის შესახებ? რეალიზმი, ბელინსკის ფორმულით, პირველყოვლისა არის მისწრაფება სინამდვილისაკენ, ცხოვრებისაკენ, რეალიზმი არის სიმართლე ცხოვრების ასახვაში, სინამდვილის დახატვა ისეთი გამაცვიფრებელი სისწორით და ჭეშმარიტებით, როგორც ეს შეეძლო, მაგალითად, გოგოლს. ბელინსკისათვის ერთმანეთისაგან განუყოფელია და განუშორებელი მხატვრული ასახვის სისწორე, სიმართლე და ხალხურობა. ბელინსკის შეგნებაში ხალხურობის ცნება განუყოფლად დაკავშირებულია უმსგავსო ბატონყმური სინამდვილის უარყოფასთან გაღატაკებული და დაჩაგრული მასების ინტერესების დაცვის პრინციპთან. ბელინსკისათვის, ისევე, როგორც ჩერნიშევსკისათვის, ხალხურობის ცნებას ერთად-ერთი აზრი და მნიშვნელობა აქვს: მწერლობა მხოლოდ მაშინ არის სახალხო და ხალხური, თუ იგი მასებს ეხმარება ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში.

ამ პრინციპით შეიარაღებული ბელინსკი დაუცხრომლად იბრძოდა დიდი ხელოვნებისათვის, დიდი იდეების ლიტერატურისათვის, ღრმა აზრიანი პოეზიისათვის. ხელმძღვანელობდა რა ამ პრინციპით, ბელინსკი დაუნდობლად დასცინოდა ფუჭს „მჭერმეტყველებას“, საერთო-უსაგნო ფრაზიორობას, დეკლამაციას, ხელოვნურად გართულებულ სტილს, მაღალ ფარდოვანებას და მანჭვა-გრეხას. არ ყოფილა შემოხვეევა, რომ მის ფაქიზ მხატვრულ ალღოს ფერადოვანი და მაღალფარდოვანი ფრაზა მიეღოს ღრმა აზრისა და ნამდვილი გრძნობის გამოხატულებად, ხოლო ჯამბაზობა — ჭეშმარიტი ორიგინალობისა და ნიჭის მაჩვენებლად. ლამაზი, მაგრამ ფუჭი აზრის მოყვარულთ და პრინციპულ დამცველებს იგი ებრძოდა როგორც თავის მოწინააღმდეგეებს. ამავე დროს ბელინსკი შეხაროდა მაღალი მხატვრული ხარისხის ლიტერატურას, სინამდვილის სიმართლით და სწორად ამსახველ ლიტერატურას, რომელსაც წინ მიჰყავს ცხოვრება.

ნიკოლოზ პირველის შავბნელ ეპოქაში ბელინსკის ხელთ ჰქონდა მხოლოდ ერთი იარაღი — მხატვრული კრიტიკა; ამ იარაღით იგი მძაფრად იბრძოდა. მესამე განყოფილებამ ამ მგზნებარე მებრძოლისათვის მოამზადა პეტრეპავლეს ციხის ბნელი კაზაშეტი, მაგრამ ჟანდარმებმა მას ცოცხალს ვეღარ მიუსწრეს.

ჩვენი ეპოქისათვის ბელინსკი ძვირფასია და საყვარელი, როგორც დიდი სოციალური მოძრაობის ერთ-ერთი შესანიშნავი წინამორბედი, რომელმაც არა ერთი და ორი თაობის მებრძოლებს აღუგზნა გული რევოლუციური ოპტიმიზმით და მგზნებარე რწმენით მშრომელი ხალხის გამარჯვებაში.

ვ. წულუკიძე

განახლებული სოფელი

ლევან ასათიანი

1.

აკაკის განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა თავისი მშობლიური სოფელი სხვიტორი. აქ დაიბადა იგი, აქ გაატარა სიყმაწვილის ბედნიერი წლები. აქ დასწერა თავისი საუკეთესო ლექსები და პოემები. ბოლოს, ცხოვრების მწუხრზე, დაქანცული და მოხუცი მოვიდა აქ, რომ თავისი მამის ძველ სასახლეში დაელია სული.

ყოველი ადგილი ამ სოფელში სუნთქავს აკაკის მოგონებით. ძველი წისქვილი შხივანა ღარებით, მტვერიანი შარა-გზა, გიჟმაჟი ჩიხურა, ძველი ეკლესია, ასწლოვანი ცაცხვის ხეები — ყოველივე გვაგონებს პოეტის აჩრდილს, მის მგზნებარე შემოქმედებას, მის მღელვარე და მოუსვენარ ცხოვრებას. და როგორი საოცარი მსგავსებაა თვით ამ სოფლის ბუნების ხალისიან ფერადებსა და აკაკის პოეტური სიტყვის მომხიბლავ საღებავებს შორის!

შეადარეთ საგურამო და სხვიტორი ერთმანეთთან, გაიხსენეთ პირველის სევდიანი, ელეგიური ჯრძნობების აღმძვრელი პეიზაჟი და შემდეგ თვალი გადაავლეთ სხვიტორის მიდამოების ნათელ ფერებს, მწვანით შემოსილ კორდებს, ცისფერ ნაკადულებს, ლურჯ, რომანტიულ ლაჟვარდში მონისლულ შორეულ მთებს, — რომ იგრძნოთ, რა გარჩევაა მეცხრამეტე საუკუნის ორი ქართველი დიდი მგოსნის პოეტურ ამღერებაში, მათ სტილში, მათი სიტყვის თავისებურებაში, მათი გრძნობებისა და განცდების გამოვლინებაში.

„ბუნებამ ისურვა თავისი თავის დანახვა და შექმნა გოეტეო“,—ამბობდა ჰეინე თავის „მგზავრის სურათებში“. იგივე, მცირედი ვარიაციით, შეიძლება განმეორებული იქნას აკაკის შესახებაც. იმერეთის პეიზაჟის ფერადოვნება საოცარი კონდესაციით არის მოცემული სხვიტორის ლანდშაფტში. ამ ლანდშაფტის ელვარებას, როგორც სარკე, გამოხატავს აკაკის შემოქმედება და არა მარტო სიტყვის ფიწარით, არამედ იმ მელოდიური მუსიკალობით, რომლის ბგერებიც დაუსვენარ ჩიხურის სიმღერასა და მის ნაპირებზე მოშრიალე ფართო ჩრდილიან კაკლების ხმაურში არის დაბადებული.

2.

აკაკის სახლი სხვიტორში მაღალი მთის ფერდზეა წამოდგმული. ამ „მბრძანებელი სიმაღლიდან“ გადმოსცქეროდა თავის ყმებს აკაკის მამა, ძველი ფეოდალი, თავადი როსტომი. აკაკიმ თავის „თავგადასავალში“ ენამახვილად შენიშნა მამისეულ სასახლეზე, რომ მას „სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე ციხისაო“. მართლაც, ეს შენობა სავსებით შეესაბამებოდა ძველი, შინგაზრდილი და უსწავლელი ფეოდალის გემოვნებასა და მოთხოვნილებას. როსტომის სასახლე შენდებოდა იმ დროს, როდესაც მეფის რუსეთმა საბოლოოდ დაიმკვიდრა აღმოსავლეთი საქართველო და იმერეთი, როდესაც ქართველ გლეხობას სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის უღელი ორკეცი აპეურით დაემაგრა კისერზე. მებატონის სასახლეს ამ დროს მართლაც უნდა შეესრულებინა კოშკის, დარბაზის და ციხის მოვალეობა. და ასრულებდა კიდეც.

სამოციან წლების დასაწყისში ჩერნიშევსკისა და დობროლუბოვის სამშობლოდან დაბრუნდნენ პირველი ქართველი თერგდალეულები, პირველი რეალისტები, რომლებმაც ახალი თვალით შეხედეს ჩვენს სინამდვილეს და ნახეს ის, რასაც მანამდე ვერ ხედავდნენ მათი წინამორბედნი. სხვიტორის სასახლის ფართე აივნიდან სტუდენტი აკაკი სულ სხვაგვარი განწყობილებით გასცქეროდა გალმა ხევში და მთის ფერდობზე გაშენებულ სბატონო სოფელს. ეს სანახავი მისთვის უკვე სხვა შინაარს შეიცავდა, მის პოეტურ ცნობიერებაში წინა პლანზე გამოდიოდა უკვე სოციალური პეიზაჟი ქართული სოფლისა. ეხლაც სოფელში ყავიან სახურავების ძველებურად ასდიოდა ლურჯი ბოლი, ყეფდენ ძაღლები, ყანიდან ისმოდა ნადური—მაგრამ ახალგაზრდა პოეტს უკვე აღარ ატყუებდა ეს მოჩვენებითი იდილია,—იგი გრძნობდა სოციალური წყობის მძიმე კირთებას, რომელიც აწვა ჩვენი გლეხის მხრებს. და შაინ მან უმღერა ხალხის მომავალს თავის შესანიშნავ „ნანინაში“.

„გაიზრდები გენაცვალე, თავისუფალიო,
ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერ გაგტეხს
ვალიო“...

მან თავისი მწველი სატირით ასწერა იდიოტიზმი ბატონყმური წყობილების, საუკუნეთა მანძილზე განმტკიცებული სოციალური ურთიერთობის. ცხადია, აქ მან არ დაფარა თავისი ახირებული მამის გონების შეზღუდულობაც და მისი ოჯახის მაგალითზე მოგვცა კლასიკური სურათი ბატონყმური სოფლისა.

რად ღირს, მაგალითად, თავადი როსტომის „ბრძნული“ განჩინება ერთი თავისი ყმა-გლეხისადმი, რომელსაც წელიწადში ათი კოკა ღვინო ემართა. გლეხს ერთ წელიწადს ღვინო აღარ მოუვიდა და ბატონმა კოლოტებით ღვინის მაგიერ ათი კოკა წყალი გამოატანია და ჩაასხმევინა ჭურში... მიტომ გამოვატანინე, რომ არ იფიქროს, ბეგარა ამოკვეთილი მაქვსო.

„სხვადასხვა გვარის და სხვადასხვა სოფლის გლეხები სხვადასხვაგვარად იყვნენ დაბეგრილი, ზოგს მეტი ემართა, ზოგს ნაკლები. ერთ გლეხთაგანს, სხვათაშორის, ნახევარი კვერცხიც ემართა. ყველიერის დაურწყვიას ჩამოვიდოდა სასახლეში, სამზარეულოში შეწვავდა კვერცხს, გაფცქვნიდა, მერე გაჰყოფდა ძეით შუაზე და ნახევარ კვერცხს მიართმევდა ბატონს, როგორც ბეგარას“...

მის შემდეგ ბევრმა დრომ გადაიქროლა აკაკის მშობლიურ სოფელზე, ბევრი კოკა წყალი ჩაატარა ჩიხურამ...

აკაკის ოთახის ფანჯრიდან მოსჩანს გაზაფხულით აყვავებული ახალი სოფელი. როგორ გაზრდილა, როგორ გამოცვლილა იგი! მწვანეში იხედებიან მხიარული კრამიტით დახურული ოდები, ფერდობებს ნოხებივით გადმოფენიან დამუშავებული ზვრები, ჭალებში ნიავი აღელვებს ზურმუხტივან ჯეჯილებს...

აქ კი, აკაკის ოთახში, მყუდროებაა დასადგურებული. ფანჯარასთან დგას მისი მაგიდა, კუთხეში—თაროები წიგნებით. დაყვითლებული ტომები კარლ ფოგტის, ეჟენ სიუს, ალ. დიუმასი, ჟურნალ „ევროპის“... მე-19 საუკუნე სუნთქავს ამ მტვერიან განჯინიდან. კედელზე ჰკიდია აკაკის ქუდი, პალტო, სკამზე აწყვია ტანისამოსი, იქვე მისი უკანასკნელი ფეხსაცმელები... საწოლთან—ჯოხი, ნახევრად ჩამწვარი სანთელი შანდალში... ამ მდუმარებაში ერთი წუთით იბადება წარმოდგენა, [illegible] ცოცხალია და მისი სუნთქვა ისევ ცოცხალია და მისი სუნთქვა ნათელი ამუქებს იქაურობას.

3.

სოფლის შუა გულში, ძველი ეკლესიის მახლობლად, იქ, სადაც კლდიდან მორაკრაკე გონჯაურა უერთდება ჩიხურის ბროლის წყალს, გზის პირას ორსართულიანი შენობა ამართულა. აქ მოთავსებულია კოლექტივის კანტორა. პოეტი რომ ცოცხალი ყოფილიყო და აქ გამოეცალოს გზათ, მას ამ კანტორიდან სიყვარულით გამოეგებებოდნენ მამამისის ყმების თავისუფალი შთამომავალნი, ახალი გლეხები, ახალი ადამიანები: მაგალითად, კოლექტივის თავმჯდომარე მოსიაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ზაბახიძე, მოინგარიშე იაკობაშვილი. მათი პაპები და პაპისპაპები ყმები იყვნენ და ბატონის ბეგარა მართებდათ, ეხლა ესენი თავისუფალნი არიან, მათი შრომა და გარჯილობა მათსავე ოჯახებს ხმარდება.

მაისის დამლეგს სხვიტორი გახურებულ მუშაობაშია გართული. ზურგზე სარწყავ მოკიდებული კოლმეურნეები შესევიან მაღალ ფერდობზე შეფენილ ვენახებს. შაბიამანის სითხე ლურჯად ეფინება ნორჩი ვაზის ფოთლებს. მხურვალე მზეს სხივები წყლის მტვერში პატარა ცისარტყელებს აჩენენ ვაზის გარშემო. ეს ცისარტყელები ნათელივით ადგიან გლეხის ნაამაგდარს.

სხვიტორის კოლექტივში 167 კომლია გაერთიანებული. ესენი თავადი წერეთლების ყოფილი ყმების შთამომავალნი არიან: გოშაძეები, ზაბახიძეები, მოსიაშვილები, კირვალიძეები, მაჭარაშვილები. მათი მეურნეობის მთავარ ობიექტს წარმოადგენს მევენახეობა. მოჭყავთ აგრეთვე სიმინდი, პური, სოია.

საჩხერის მიდამოებში ეს პატარა კოლექტივი შეძლებულად ითვლება: კოლმეურნეობის გამწევ ძალას წარმოადგენს ასამდე ხარი, ყოველ კოლმეურნეს ჰყავს ძროხა, თავისი საკარმიდამო ბაღჩა-ვენახი, ბოსტანი, კოპწია, სუფთა ოდები. გასულ წელს სხვიტორელი თვითეული კოლმეურნის საშუალო შემოსავალი განზოგადოებული სექტორიდან ექვსი ათას მანეთს, ამას ოაემატა ამდენივე შემოსავალი საკარმიდამო მამულიდან.

გარდა ვენახისა და ყანებისა, კოლმეურნეობას აქვს შემოსავლის სხვა წყაროებიც. ასეთია ფეხსაცმელების სამკერვალო, საკირე, ოთხი წისქვილი, ღვინის სარდაფი და ხილის სავაჭრო საჩხერეში, სადაც კოლმეურნეები ჰყიდიან თავის ზედმეტ მოსავალს...

ოდესლაც სხვიტორელი გლეხები ვალდებულნი იყვნენ თავისი ბავშვები ფარეშებად გაეყვანათ წერეთლების სასახლეებში... ეხლაც ეს ბავშვები, ყველანი უკლებლივ, ერთერთ იმ სასახლეში გადიან ყოველ დილით, მხოლოდ არა ფარეშებად... სასწავლებელად. ბავშვები სწავლობენ, მათი ჟვილ-ხივილი დასვენების დროს სასახლის აივნიდან გაღმა სოფელში გაისმის მხიარულ ეხოთ. ამ სასწავლებელსაც აღარ სჯერდებიან სხვიტორელი ახალგაზრდები. ბევრი უმაღლეს განათლებასაც იღებს. ერთი მათგანი, აკაკი ზაბახიძე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტია, ეკონომისტი.

4.

სპირიდონა კირვალიძე ხანშესულ გლეხია. მას ხშირად უნახავს აკაკი, ულაპარაკია მასთან. სპირიდონა და მასთან ერთად რამდენიმე

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ბოლშევიკის სახე ქართულ მწერლობაში

ბესო ჟღენტი

ყოველი ეპოქის ლიტერატურას თავისი ცენტრალური გმირი ჰყავს. ამ გმირის საშუალებით გამოხატავს ყოველი დროისა და კლასის მწერლობა ეპოქის გაბატონებულ იდეებს, ცხოვრების საჭესთან მდგომი სოციალური ძალის მისწრაფებებსა და სულისკვეთებას, საზოგადოებრივი განვითარების ძირითად პროცესებს.

ბუნებრივია, რომ საბჭოთა ლიტერატურისათვის ასეთ მთავარ გმირს წარმოადგენს კაცობრიობის ახალი, ნამდვილი ისტორიის შემომქმედი, ჩვენი ეპოქის მოწინავე ადამიანი—ბოლშევიკი.

მთელ საბჭოთა ლიტერატურასთან ერთად თანამედროვე ქართული მწერლობა თანმიმდევრულად ისწრაფვის შექმნას მაღალ-მხატვრული სახეები **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიის გმირული საქმეების შესაფერი სიღრმით გამოხატვისათვის, გამოკვეთოს ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებულად მებრძოლი ადამიანების — ბოლშევიკების ტიპიური სახეები.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი წარმატება, რომელიც ამ მხრივ მოეპოება ქართულ საბჭოთა ლიტერატურას ლირიკული პოეზიის დარგში. არ დარჩენილა ქართული თანამედროვე პოეზიის არც ერთი მნიშვნელოვანი ძალა, რომელსაც გულწრფელი აღფრთოვანებით აღბეჭდილი ლექსები არ მიეძღვნას ბოლშევიკური პარტიის გენიალური ფუძემდებლების, ხალხთა უდიდესი ბელადების **ლენინისა** და **სტალინისათვის.**

ამ ლექსებსა და სიმღერებში ქართველმა საბჭოთა პოეტებმა ღრმად გამოხატეს საბჭოთა ხალხის ერთგულება, სიყვარული და მადლიერება მშრომელი კაცობრიობის, იმ უდიდეს შვილთა მიმართ, რომელთა გიგანტურ ბუნებაშიც ყველაზე მკაფიოდ გამოსჩანს ბოლშევიკური აზრისა და საქმის სიდიადე და უძლეველობა.

მთელ რიგ ლექსებში ქართველმა საბჭოთა პოეტებმა შთაგონებულად უმღერეს საქართველოს ბოლშევიკების სახელოვან ხელმძღვანელს ამხანაგ **ლავრენტი ბერიას.** როგორც ნაცად სტალინელს, სოციალისტური საქართველოს დაუღალავ მშენებელს, ქართველი ხალხის სამეურნეო და კულტურული აღორძინების მგზნებარე მეთაურსა და წინამძღოლს.

მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკუნის გარიჟრაჟზე დიდმა **სტალინმა** საფუძველი ჩაუყარა ბოლშევიკურ ორგანიზაციებს საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში, გამოიყვანა საქართველოს მშრომელი ხალხი რევოლუციური ბრძოლის ფართო გზაზე.

ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში უკვე მოგვეპოება რამდენიმე ნაწარმოები, რომლებიც ასახავენ ამ პირველ ეტაპს საქართველოს მშრომელი ხალხის ბრძოლისას ლენინურ-სტალინური დროშის ქვეშ.

„მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია **შალვა დადიანის** ისტორიულ-რევოლუციური დრამა „ნაპერწკლიდან“. პიესა მკაფიო რეალისტურ საღებავებში ხატავს იმ დიად ისტორიულ მოვლენებს, რომელნიც ამხანაგი **სტალინი** თავის გარშემო იკრებდა და ლენინურ პოზიციებზე რაზმავდა საქართველოს მუშათა კლასის მოწინავე შვილებს (ცარიზმის, კაპიტალისტებისა და მემამულეების წინააღმდეგ საბრძოლველად. პიესაში ვხედავთ ახალგაზრდა **სტალინს** მიერ გამოწრთობილ ბოლშევიკ მუშათა მგზნებარე სახეებს. ისინი, რევოლუციური სულისკვეთებით ღრმად გამსჭვალულნი, აყალიბებენ მებრძოლ პროლეტარულ ორგანიზაციას და უდიდესი ერთგულებით მჭიდროდებიან ახალგაზრდა **სტალინის** გარშემო (სცენა ლომჟარის ოჯახში), ისინი საბრძოლო იერიშზე გადადიან ცარიზმის და კაპიტალიზმის წინააღმდეგ (9 მარტის დემონსტრაცია). ისინი გამანადგურებელ წინააღმდეგობას უწევენ მენშევიკების მოღალატურ - ოპორტუნისტულ „მოღვაწეობას“. პიესაში მოცემულია ამ პერიოდის მუშა-რევოლუციონერთა ტიპების მთელი გალერეა. განსაკუთრებით მკაფიო და ამაღელვებელი სახეები დახატა დრამატურგმა თავგანწირულად მებრძოლი პროლეტარის ელიშუქისა, მებრძოლი მუშა-ქალის ცაბუსა, ახალგაზრდა რევოლუციონერის ვარდენისა. პიესის ღირსეულ ფინალს წარმოადგენს დიდი მხატვრული ზომიერებით განსახიერებული ისტორიული ეპიზოდი, როცა პირველად ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ პროლეტარული რევოლუციის ორი ბელადი და ორგანიზატორი: „მთის არწივი“ და „მგზნებარე კოლხიდელი“ — **ლენინი** და **სტალინი.**

ამავე ისტორიულ მოვლენებს ასახავს **როდიონ ჭორჭიას** მოთხრობების ციკლი („9 მარტი“, „საწყალი მუშა“ და სხვ.). საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ამ პირველი ეტაპის მასალაზეა გაშლილი აგრეთვე ახალგაზრდა პოეტის **გრ. აბაშიძის** პოემა „შავი ქალაქის გაზაფხული“ და **გ. ნახუცრიშვილისა** და **ბ. გამრეკელის პიესა** „ლადო კეცხოველი“. ამ პიესაში განსახიერებულია დიდი **სტალინის** ერთ-ერთი თანამებრძოლის, შესანიშნავი პროლეტარული რევოლუციონერის ლადო კეცხოველის მგზნებარე ცხოვრება, მისი შეუდარებელი და თავგანწირული ბრძოლა მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ გამძვინვარებული რეაქციის წლებში საქართველოს ბოლშევიკები ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით სათავეში ჩაუდგნენ მუშათა კლასის ახალი იერიშებისათვის მომზადების საქმეს. მოღალატე მენშევიკების ოპორტუნისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში იწრთობოდნენ და იფაეებოდნენ კონსპირატიული ბრძოლის ფორმებზე გადასული ბოლშევიკური ორგანიზაციები.

ამ მოვლენების ამსახველ მხატვრულ ეპიზოდებს შეიცავს **ნ. შიუკაშვილის** პიესა „სულელა“. ამ პიესის მომქმედი პირი მახა ტიპიური განსახიერებაა იატაკქვეშ მებრძოლი ბოლშევიკებისა. მისი ხასიათის სიმტკიცე, შეუდრეკელობა, პარტიის საქმისადმი თავდადებული ერთგულება, მტრისადმი შეურიგებელი სიძულვილი და ამხანაგისადმი უდიდესი გულისხმიერება. სწრაფვა ცოდნისაკენ, კონსპირატიული დახელოვნება—ეს თვისებები მკაფიოდ ასასიათებენ თავაშვებული რეაქციის წინააღმდეგ დარაზმული ბოლშევიკური ავანგარდის ადამიანს.

რეაქციის წინააღმდეგ ამხედრებული მშრომელი ხალხის მებრძოლ შვილთა ტიპიურ სახეებს ჰქმნიან **დ. სულიაშვილი** („ჩიკორი“ და „ნაღვერდალი“) და **ლეო ქიაჩელი** („ტარიელ გოლუა“).

მოღალატე, კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობას ქართველმა მშრომელმა ხალხმა აჯანყებების ცეცხლით უპასუხა. აქაც ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს ბოლშევიკები მეთაურობდნენ. ამ წლების სამოქალაქო ბრძოლათა ფართო პანორამას ხატავს **ალ. ქუთათელი** რომანში „პირისპირ“. რომანის მრავალფეროვან ტიპაჟში, რომლის საშუალებითაც მწერალი იმდროინდელ საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენის ბუნებას არკვევს, მკაფიოდ გამოირჩევიან მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის საუკეთესო შვილების — ბოლშევიკების სახეები. თუ რომანის პირველ წიგნში სიმძიმის ცენტრი ბურჟუაზიული ინტელიგენტური წრეების ყოფა-ცხოვრების აღწერაზე იყო გადატანილი და ბოლშევიკების რევოლუციური ბრძოლა უფრო ეპიზოდიურად გამოსჩანდა, რომანის მეორე წიგნი სამოქალაქო ომის მძაფრ დინამიურ სურათებს შლის, რომელთა ფონზედაც მკაფიოდ იხატებიან აჯანყებული ხალხის მეთაურების — ბოლშევიკების (ნიკოს, რაჟდენის, გალაქტიონის) პორტრეტები. ისინი მასობრივი შეიარაღებული აჯანყების შესანიშნავი ორგანიზატორები არიან, ვაჟკაცურად უმკლავდებიან მენშევიკური გვარდიის იერიშებს, თავგანწირულად იბრძვიან ხალხის განთავისუფლებისათვის და უანგარო ვაჟკაცობის ბოლშევიკური შეგნებულებისა და რწმენის სიმტკიცის საუცხოო მაგალითებს გვიჩვენებენ.

მენშევიკური ხელისუფლების ჯალათური პოლიტიკის წინააღმდეგ სამხრეთ-ოსეთის მშრომელი ხალხის გმირული ბრძოლის მასალაზე საინტერესო მოთხრობა შექმნა **ბორის ჩხეიძემ.** („დღეები“). ამ მოთხრობის ბოთავარ გმირთა შორის ყველაზე კოლორიტულ ფიგურებს წარმოადგენენ გლეხი-ბოლშევიკი ჯინიყაშვილი და მუშა-რევოლუციონერი, თავდადებული პარტიზანი გიკაევი.

საქართველოში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების პირველი ღღეების ანარეკლს ვხედავთ **რაჟდენ გვეტაძის** „ჭიაკოკონაში“, მაგრამ ამ დიადი ისტორიული მოვლენის უფრო მკაფიო გამოხატულებას მწერალი გვაძლევს თავის მეორე დიდ მოთხრობაში — „თეოში“. ამ ნაწარმოების ერთ-ერთ ცენტრალურ გმირს წარმოადგენს მირზა. „ეი, ყოფილი მოჯამაგირე, ახალგაზრდობიდანვე გატაცებით ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში, განვლო ბოლშევიკური კონსპირაციის სახელოვანი სკოლა, აქტიურად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, და აი პროლეტარული **რევოლუციის** პირველსავე ღღეებში მირზა პროლეტარული სახელმწიფოს ერთ-ერთი აქტიური მშენებელია და ახალი ცხოვრების მესაქეთა რიგში სდგას. მირზას იდეური და საზოგადოებრივი ზრდა მიმდინარეობს მისი ყოფილი ბატონის, თავად ყაფლანის დაცემისა და სრული დაძაბუნების პარალელურად. აქ ავტორი ორი საწინააღმდეგო სოციალური ძალის ისტორიული ბედის კონტრასტულ სურათს ხატავს და ამ დაპირისპირებაში ბოლშევიკ მირზას რევოლუციურ სახეს აყალიბებს.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის, საკოლმეურნეო მშენებლობის განმტკიცებისათვის მებრძოლ ბოლშევიკთა ტიპიური სახეები.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** რომანი „იმერეთი“ („ძ

განახლებული სოფელი

(დასასრული)

სხვა ამხანაგი ეხლა კოლმეურნეობას გამოუყვია გზის სამუშაოზე. კოლმეურნეობა აკეთებს ფართე საავტომობილო მისავალ გზას აკაკის სახლამდე. ამ გზას ორივე კედრით ხეივანი ექნება დარგული...

მაგრამ სოფელში ცხოვრობენ სხვა კოლმეურნეები, რომლებიც სპირიდონ კირვალიძეზე უკეთესად და ახლოს იცნობდნენ დიდ პოეტს. აი, მაგალითად, მეორე სპირიდონი, ზაბახიძე. ეხლა მას მანქანა მოუკიდნია ზურგზე და რწყავს ვენახს. მისი ვენახიდან კარგად მოსჩანს გალმა ფერდობზე წამოდგმული აკაკის სახლი. ოცი წლის იყო სპირიდონა, 1909 წელს, რომ გავიდა იქ, აკაკისთან. უნდოდა დიდი პოეტის სიახლოვეს რაიმე ცოდნა შეეძინა. აკაკიმ მართლაც დაიახლოვა ახალგაზრდა ცრობისმოყვარე გლეხკაცი. ალარ მოუშორებია სიკვდილამდე. სადაც წავიდოდა, თან დაჰყავდა, ასწავლიდა, აძლევდა წიგნებს, აცნობდა ცხოვრებას, ხალხს.

სპირიდონი ახლდა აკაკის ბათომში, ქუთაისში, თბილისში. მასთან ყოფნის დროს კარგად გაიწაფა წერაში. კარგი ხელი ჰქონდა. აკაკი ხშირად აძლევდა მას თავის ნაწარმოებებს გადასაწერად.

უკანასკნელი პოემა „ომი“, რომელიც აკაკის ავადმყოფობის დროს გაურკვეველი ხელით ჰქონდა დაწერილი, სპირიდონმა გადასწერა თეთრად. იგი პოეტს უკანასკნელ წუთამდე არ მოშორებია.

აკაკის სხვა მეგობრებიც დარჩენია სხვიტორში. ასეთია, მაგალითად, ღრმად მოხუცი კოლმეურნე ხოჯანა სარალიძე, რომელიც კარგად იცნობდა არამარტო აკაკის, არამედ მამამისსაც, თავად როსტომ წერეთელს.

აკაკის ხალისით იგონებს ხოჯანა. თავად როსტომ წერეთელთან რომ მომიყვანეს სასახლეში, ხელზე მოსამსახურედ, — ამბობს ხოჯანა, — 11—12 წლის ბიჭი ვიქნებოდი.

როსტომი გულფიცხი და გაუმაძღარი კაცი იყო. გლეხები რომ მოუტანდნენ ხოლმე დაწესებულ ღალას, ზოგიერთები ეტყოდნენ ხოლმე როსტომს — რად გინდა ამდენი სიმინდი, ბეღლები გისკდებაო. მაგრამ როსტომის გული არ ძღებოდა.

აკაკი ძალიან მხარჯველი კაცი იყო. ამ ნიადაგზე მამასა და შვილს შორის ხშირად ჩამოვარდნილა უსიამოვნო ლაპარაკი. როცა აკაკი პეტერბურგში სწავლობდა, როსტომმა კვერეთის მთა დაუგიარავა მიხეილ წერეთელს და ფული შვილს გაუგზავნა. გაიარა ხანმა. ერთხელ როსტომმა გაატანა აკაკის დაგირავებული მთის ვალი სამი ათასი მანეთი მიხეილთან. აკაკიმ ფული წაიღო და შეჭამა. როცა მამამისმა ეს ამბავი გაიგო და გაჯავრდა, აკაკიმ ასე ანუგეშა იგი:

— მამა, რათ გინდათ ის მთა ან შენ, ან მიხეილს? შესაჭმელად ვერც ერთი ვერ მოერევით, ისე დაჯექით და უყურეთ თქვენი სასახლეებიდან, ორივესი იყოს ის მთაო.

ჩემსობას აკაკი ცოლშვილიანი იყო, — განაგრძობს ხოჯანა თავის მოგონებას, — იმისსხო იყო მისი ცოლი, უღელი ხარი ვერ გასწევდა. აკაკი ყოველ მეორე-მესამე წელიწადს ჩამოდიოდა სხვიტორში ცოლშვილით. ბევრჯერ გამიშლია მისთვის სუფრა. დიდი სახიერი და ლამაზი ვაჟკაცი იყო. ამასთან გულკეთილი და ხალისიანი. ისე დაუწყებდა პატარა ბავშვებს ლაპარაკსა და ხუმრობას, თითქოს მათი ტოლი და ამხანაგი ყოფილოს... შაქრიანი კაცი იყო, სასიამოვნო მოლაპარაკე...

ბოლოს ერთი ყოფითი დეტალიც, ხოჯანას მოგონებიდან: აკაკის მევალე ჰყავდა — მდიდარი აზნაური ილარიონ გამყრელიძე. ვალში ამან აკაკის აუწერა და წაართვა სხვიტორის მიწების დიდი ნაწილი. ილარიონი ჩემს ადგილსაც წამომდავა, ეგეც ჩემია, შენ როსტომის ნაყმევი ხარ, ღალა უნდა მაძლიოვო. მე შეუპოვარი გლეხი ვიყავი, მაგრამ რას გავხდებოდი, ბოლოს მაინც იმან დამძლია, გამცალა, გამაჩანაგა კაცი.

ერთხელ სამი თათარი დამასია, ჩაფრები, — მოკვლას მიპირებდნენ. მაგრამ გავექეცი, ძლივს გადავურჩი.

დიდი მძიმე დრო იყო, ბევრი წვალება ვვადგა გლეხებს, — დასძენს თავის ნაამბობს ხოჯანა. — სად დღევანდელი ცხოვრება და სად ძველი, ვისაც არ უნახავს ჩვენი გაჭირვება, არ გამოუცდია, — ის ისე ნათლად ვერ გაიგებს ჩვენს დღევანდელ ბედნიერ ყოფას...

კოლექტივში რომ შევიდა, ხოჯანამ უღელი ხარი მიიყვანა თავისი მოწყობილობით. გარდა ამისა შეიტანა პატარა წისქვილი, 10 ქცევა სახნავი მიწა, — ეს [illegible], ფერი „მშიერი ლუკმით“ იყოო მონაგარი, ამბობს ხოჯანა.

განა შეიძლებოდა ფიქრი იმაზე, რომ გლეხიკაცს ესწაოოა? ეხლა ჩემი შვილიშვილები, აი ეს ბიჭები, აგერ მინდორში რომ კოტრიალობენ ყველანი შკოლაში დადიან.

წინათ ვინ დაინახავდა ამ სხვიტორის ხეობაში ავტომობილს? ეხლა მთავრობამ გზები გაიყვანა, ხიდები გადვა, ხალხს ცხოვრების დოლაბი წაიმა დაგვიტრიალა, მუხლში ღონე ჩაგვიდგა, მომავალი გაგვიხსნა.

ჩვენც გამოვიცვალეთ, გული გაგვიმთელდა, ცხოვრება შეგვიყვარდა, შრომამ და გარჯამ სიხარულის [illegible] ჩაგვიდგა სულში. მართალ[illegible] იყო აკაკი, სწორედ ჩვენზე გამოუთქვამს ეს ლექსი:, „ის აღარ ვართ, რაც ვიყავითო... ბნელს ნათელმა მოაშუქა და ერთ რამედ ესეც ღირსო!“.

გიორგი ლეონიძის პოემა ებრაულ ენაზე

გიორგი ლეონიძის პოემას ბელადზე „ბავშვობა და ყრმობა“ ებრაულ ენაზე სთარგშნის ცნობილი ებრაელი პოეტი დავით ჰოფშტეინი. წიგნს გამოსცემს უკრაინის სახელმწიფო ლიტ. გამომცემლობა.

შექსპირის ჭრაღლიები

სახელგამმა გამოსცა შექსპირის ტრაღედიების პირველი ტომი, ივანე მაჩაბლის თარგმანი. გამოცემის ამ ტომში მოთავსებულია „ოტელო“, „ანტონიოს და კლეოპატრა“, „რიჩარდ მესამე“ და „იულიოს კეისარი“.

სახელგამმა უნდა დააჩქაროს მეორე ტომის გამოცემა და მეტი ყურადღება მიაქციოს წიგნის მხატვრულ გაფორმებას.

„ვისრამიანი“

სახელგამმა გამოსცა ძველი ქართული მხატვრული მწერლობის ცნობილი ძეგლი „ვისრამიანი“ ალ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით. წიგნს დართული აქვს ი. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

„ვისრამიანის“ მხატვრული გაფორმება და ილუსტრაციები ეკუთვნის კ. ჭანკვეტაძეს.

ფასი ყდით 15 მანეთი.

„დასასვენებელი დღე ზაჰესში“ ნახ. ვეფხვაძისა

ჯამბულის საიუბილეო საღამო მწერალთა კავშირში

ინტერნაციონალური ძმობისა და ხალხთა სტალინური მეგობრობის გრძნობით იყო გამსჭვალული საღამო, რომელიც მწერალთა კავშირმა 25 მაისს მიუძღვნა ყაზახეთის სახალხო მომღერლის ჯამბულის მოღვაწეობის 75 წლისთავს.

საღამო გახსნა ამხ. **შ. რადიანმა,** რომელმაც მოკლედ დაახასიათა ჯამბულის შემოქმედება.—შესანიშნავი სახალხო პოეტი ჯამბული მთელი თავისი შემოქმედებით, — ამბობს ამხ. შ. რადიანი, განსაკუთრებული და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. მისი სახელი ცნობილია მთელს საბჭოთა კავშირში, მისი ლექსები და სიმღერები ზეპირად იციან მილიონებმა. იგი სოციალიზმის ეპოქის გატაცებული მომღერალია. იგი სწერს უაღრესად აქტუალურ თემებზე და ყოველი მისი ლექსი მდიდარია ემოციებით, რაც ასე დიდ ზეგავლენას ახდენს მკითხველზე. ყოველი აქტუალური თემა ჯამბულისაგან ორგანიულად განცდილი და მხატვრულად ათვისებული.

თუ რა აძლევს ასეთ დიდ პოეტურ ძალას ჯამბულის შემოქმედებას, ამის შესახებ ვრცლად ილაპარაკა თავის მოხსენებაში ამხ. **ვ. გაფრინდაშვილმა. ჯამბულის პოეტური** თავისებურება იმაშია, რომ მას შესწევს უნარი და უდიდესი ნიჭი, რომ ცხოვრების ჩვეულებრივ მოვლენებში დაინახოს სხვა ადამიანის თვალისათვის შეუმჩნეველი პოეზია. მის დიდ პოეტურ შემოქმედებას ასაზრდოებს ბედნიერი ხალხის ცხოვრება, რომელთანაც მას არასოდეს კავშირი არ გაუწყვეტია. ამიტომ არის, რომ მისი ლექსები წარმოადგენენ გმირულ ეპოპეას სოციალისტურ ეპოქაზე, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაზე, ჩვენს დიდ სამშობლოზე, მისი ადამიანების გმირულ საქმეებზე

ჯამბულის ლექსის ფორმალურ თავისებურებაზე შეჩერდა თავის სიტყვაში ამხ. **ვასო გორგაძე.**

ამხ. **ი. აბაშიძემ** გამოსთქვა მეტად ორიგინალური აზრი ჯამბულის ადგილზე და როლზე საბჭოთა პოეზიაში, ჩვენი ეპოქის ლიტერატურაში, — სთქვა მან, — ჯამბული ისეთივე მოვლენაა, როგორც სტახანოვი და სტახანოველები საბჭოთა მეურნეობაში. სწორედ ისევე, როგორც სოციალისტური მშენებლობის ამ ახალმა ადამიანებმა უმაღლეს ხარისხზე აიყვანეს სოციალისტური შრომა, ასევე ჯამბულმა ახალი ხარისხი მისცა საბჭოთა პოეზიას.

ჯამბულის ცხოვრება და მოღვაწეობა, — ამბობს ამხ. **ალ. აბაშელი,** ნათელყოფს, რომ ყოველი ერის ხალხური შემოქმედება თავის ძირითად მოტივებში ემყარება ყველა მშრომელი ხალხისათვის საერთო საფუძველს, შრომის თავისუფლებისაკენ, ხალხთა თანასწორობისა და ერთობისაკენ მისწრაფებას. მეფის რეჟიმისაგან კოლონიად ქცეულ ყაზახეს არასოდეს არ ჩაქრობია უკეთესი მომავლის იმედი, და ჯამბულიც შეიქნა მისი უწმინდესი სულისკვეთების გამომხატველი. 75 წლის მანძილზე ეს დიდი პოეტი საკვირველის მრავალხმოვანებით აყიერებს თავის უბრალო დომბრას, რომელიც ჯამბულის დიდმა პოეტურმა ნიჭმა ყველასათვის საყვარელ და ცნობილ საკრავად გადააქცია, როგორც უკრაინული კობზა და ქართული ჩონგური.

თავის სიტყვაში ამხ. **ალ. ჭეიშვილმა** გაიხსენა შეხვედრა ჯამბულთან და მოხაზა მისი პორტრეტი იმ მომენტში, როცა იგი ჰქმნის და დომბრაზე ამღერებს თავის შესანიშნავ სიმღერებს.

სიტყვების დამთავრების შემდეგ ჯამბულისადმი მიძღვნილი ლექსებით გამოვიდნენ **შაქრო ნავთლუღელი** და ახალგაზრდა პოეტი **ქალი მაყვალა მრევლიშვილი.**

დიდის გზნებით და სიყვარულით წაიკითხეს ჯამბულის ქართულად თარგმნილი ლექსები **ალ. აბაშელმა, ირ. აბაშიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ს. ფაშალიშვილმა, ვ. გორგაძემ, ვ. გაფრინდაშვილმა** და **ი. იმედაშვილმა.**

ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ“

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲑᲨᲘ „ᲤᲘᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲛ“ ᲒᲐᲛᲝᲡᲪᲐ ᲡᲔᲠᲒᲝ ᲙᲚᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ“. ᲬᲘᲗᲚᲨᲘ ᲮᲣᲗᲘ ᲜᲝᲕᲔᲚᲘᲐ — „ᲛᲢᲠᲘᲑᲘ“, „ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ, ᲫᲛᲔᲑᲝ“, „ᲖᲔᲘᲛᲘ“, „ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘ“ ᲓᲐ „ᲓᲘᲠᲑᲔᲚᲘ ᲛᲝᲧᲛᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ“.

ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲘᲡ ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲝᲠᲘ ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲔᲑᲘᲗ ᲘᲥᲪᲔᲕᲘᲜ: ᲯᲔᲠ ᲔᲠᲗᲘ — ᲜᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲠᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ. „ᲛᲢᲠᲔᲑᲨᲘ“ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲰᲥᲠᲘᲗᲐ ᲐᲥᲕᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ. „ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲗᲐᲣᲠᲘ — ᲑᲝᲜᲓᲝ ᲑᲘᲡᲙᲐᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲔᲘᲐᲤᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲕᲐ — ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲡ. ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲘᲡ ᲩᲜᲘᲜᲘᲗ ᲣᲤᲠᲝᲗᲮᲘᲚᲘᲐ ᲑᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲒᲘᲠᲒᲘᲚᲘ ᲨᲔᲘᲐᲤᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲞᲝᲜᲓᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘ ᲛᲝᲒᲘᲚᲘᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲛᲘᲒᲘᲗᲮᲔᲑᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲖᲐᲜᲔᲑᲘᲡ